# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ხუთშაბათი, 11 აგვისტო. 2016 წ. №148 (8040), გამოცემის 98-ე წელი | ფასი 50 თეთრი.







ანონსი!

ანონსი!

ანონსი!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 12 აგვისტოს ნომერში

# ჩვენ ერთად შევქმნით XXI საუკუნის საქართველოს დიდგორის ლაშქარს!

## მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის" მუშაობის პირველი შედეგები

დღემდე საარჩევნო სიებს ადგენდნენ პოლიტიკური პარტიები, ფორმალური თუ არაფორმალური ლიდერები. ამ გზამ ჩიხში შეგვიყვანა.

**ჩვენ სხვა გზას ვირჩევთ. სიები უნდა შედგეს მხოლოდ ხალხთან და საზოგადო მოღვაწეებთან დიდი მოთათბირების საფუძველზე. რამდენიმე აუცილებელი პირობით** — შერჩეული კანდიდატი უნდა იზიარებდეს მეცნიერთა შეფასებით, ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ზოგადქართულ დოკუმენტს **„მოქმედების მანიფესტს" — „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო";**

**ჩვენთვის უპირველეს კრიტერიუმთა შორისაა** რეპუტაცია, პროფესიონალიზმი, გამოცდილება, ქართული ცნობიერება შერწყმული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან;

**ჩვენ სამარცხვინოდ ვთვლით დღემდე დამკვიდრებულ ასაკობრივ გრადაციას** და ვამბობთ ქართულად: **ხელისუფლება აზროვნებაა და არა ასაკი.**

**ჩვენ უარი უნდა ვთქვათ** პარტიიდან პარტიაში მორბენალ მედროვეებზე, ყველას და ყველაფერს რომ ერგებიან, მრავალპარტიელებზე;

**ჩვენ უნდა დავაფასოთ** გამოცდილი ადამიანები. ყველგან იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები, **ზვიად გამსახურდიას** გარემოცვაშიც, **ედუარდ შევარდნაძის** პერიოდის პარლამენტშიც, **ასლან აბაშიძესთან, მიხეილ სააკაშვილთანაც, ბიძინა ივანიშვილთანაც,** დღევანდელ ხელისუფლებაშიც.

**ჩვენი ამოცანა უნდა იყოს,** საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების სახელისუფლებო არენაზე გამოსვლა. მაგრამ რამდენიმე პირობით, მხოლოდ ისინი, ვინც:

- ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახე შეინარჩუნა, გაუძლო ცდუნებას;
- არ გაბოროტდა ოპოზიციაში ყოფნის დროს;
- სწამს და სჯერა, რომ არ შეიძლება პოლიტიკის ბიზნესად ქცევა და ხელისუფლებაში ბიზნესინტერესებით ყოფნა;
- დღესაც აქვს დიდ და კეთილ საქმეთა კეთების რესურსი.

**ჩვენ უნდა გვინდოდეს,** რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს - ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.

**დღევანდელ საქართველოს ჰაერივით სჭირდება** ამ ადამიანების გამოცდილება. ქვეყანაც გამთლიანდება მათი პარლამენტში ყოფნით და წარმოუდგენლად გაიზრდება ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. ქვეყნის გარეთ მცხოვრებ 2 მილიონზე მეტი ადამიანის სახელით უნდა შევძლოთ ისეთი ადამიანების პოლიტიკურ არენაზე გამოყვანა, რომელთაც:

- კარგი კონტაქტები აქვთ იმ ქვეყნის სახელისუფლებო წრეებთან;
- დიდი ავტორიტეტი აქვთ ქართულ დიასპორაში;
- კარგი რეპუტაციით სარგებლობენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

დღევანდელ საქართველოს სჭირდება პარლამენტი, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას გაცნობიერებული ექნება უპირველესი და უმთავრესი:

**ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!**

**და ეს არ ნიშნავს ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები პლანეტარულთან. ასე იყო და ასე იქნება, თუ ავირჩევთ არა ლაპარაკით, არამედ აზროვნებით ქართული ცნობიერების ადამიანებს, თუ უარს ვეტყვით ურაპატრიოტებსაც და გლობალისტებსაც.**

**12 აგვისტოს, დიდ ქართულ დღეს — დიდგორობის დღეს, ვაქვეყნებთ ჩვენი კონგრესის მიერ მიღებულ საპროგრამო დოკუმენტსაც და პირველ გვარებსაც, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში ძირითადად კარგი განწყობაა. ამ პროცესს ხალხთან, მოღვაწეებთან, მეცნიერებთან ერთად გავაგრძელებთ და ეჭვი არ გვეპარება, ჩვენ ერთად შევქმნით XXI საუკუნის საქართველოს დიდგორის ლაშქარს!**

**საქართველოს პარლამენტშიც სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ და სწორედ ასეთი პარლამენტი იქნება ეროვნული თანხმობის პარლამენტი.**

**მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის"**

10 აგვისტო, 2016 წელი

### მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის შემოძახილი



# კანონის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა სრული იგნორირება?!

5

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს

# სიბრძნედ ქცეული წლები

რამდენიმე თვის წინათ გამოჩენილ მწერალს, დრამატურგსა და პუბლიცისტს **თამაზ ჭილაძეს** 85 წელი შეუსრულდა. სასიქადულო მამულიშვილის საიუბილეო თარიღს ჩვენი გაზეთიც გამოეხმაურა. იმ დღეებში მეტად საინტერესო საუბარი შედგა ახალგაზრდა მწერალსა და ლიტერატორ **ზვიად კვარაცხელიასა** და ბატონ **თამაზ ჭილაძეს** შორის, რომელიც შემდგომ უბის წიგნადაც დაიბეჭდა... ჩვენი გაზეთის მკითხველთა თხოვნითა და ავტორის კეთილი ნებით გთავაზობთ ამ საუბრის საგაზეთო ვარიანტს, რომელშიც დიდი შემოქმედის ცხოვრების კრედო, ტკივილი, სიყვარული და სამშობლოს მსახურების თავისებური ფილოსოფიური ხედვაა წარმოდგენილი.

## დრო და არითმეტიკა



**თამაზ ჭილაძე:**

**...კარგი იქნებოდა, სამინისტროს გამომცემლობებისგან შეეძინა წიგნები და ისე დაერიგებინა უფასოდ ბავშვებისათვის... ჩემი აზრით, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, თუ სახელმძღვანელოებს უფასოდ მხოლოდ უპოვარი ოჯახების შვილებს დავურიგებდით...**

6-7



## გიორგი კვირიკაშვილი: მთავრობას ქვეყნის სწრაფი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის კონკრეტული, ნაბიჯებით გაწერილი გეგმა შემუშავებული აქვს

გიორგი კვირიკაშვილმა ამბროლაურში, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი გოჩა ენუქიძე წარადგინა.

**„ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად დავაღწიოთ თავი გაჭირვებას, რომ თითოეული ოჯახი, თითოეული თქვენგანი წელგამართული იყოს და არ ჰქონდეს ხვალინდელი დღის შიში. სწორედ ამიტომ თქვენი მხარდაჭერით გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ და ყველა დაწყებულ საქმეს აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ. დიახ, დღეს სწორედ „ქართული ოცნებაა“ ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, ჩვენი სამშობლო გაძლიერდეს და ყოველი თქვენგანის ოჯახში შემოვიდეს კეთილდღეობა! ჩვენ ამას ერთად აუცილებლად შევძლებთ! ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ! „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს დ ამით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს“,** — განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

## პრეზიდენტი ამომრჩევლის გასააქტიურებელ კამპანიას იწყებს

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ის კამპანიას იწყებს, რომელიც 2016 წლის არჩევნებზე ელექტორატის გააქტიურებისკენ იქნება მიმართული.

**„ვიწყებ კამპანიას, რომელიც ორგანიზებულია და ორიენტირებულია ამომრჩევლის გასააქტიურებლად. ბუნებრივია, ეს არ იქნება არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერი კამპანია, ეს იქნება ახალგაზრდების კამპანია, რომ ჩვენ შევძლოთ და გამოვიყვანოთ რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი“,** — განაცხად გიორგი მარგველაშვილმა. საქართველოს პრეზიდენტმა წინასაარჩევნო გარემოც შეაფასა და აღნიშნა, რომ საქართველოში უკეთესი საარჩევნო გარემოა, ვიდრე ეს 2012 წელს იყო. გიორგი მარგველაშვილის თქმით, მოახლოებულ არჩევნებზე ძალები მხოლოდ ორ პარტიაზე არ ნაწილდება.

## შეხვედრა რუს კოლეგასთან: „ჩვენ ასეთი შეხვედრის მომზადებისთვის მზად ვართ“

მაესტროს“ ეთერში, გადაცემა „ღამის კონტაქტში“ რუსეთთან ურთიერთობის საკითხზე საუბრისას, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე რუსეთს მჭახე განცხადებების ნაცვლად, საუბარს სთავაზობს.

**„ჩვენ რუსეთს კი არ ვუპირისპირებთ ხმამაღალ, მჭახე განცხადებებს, არამედ რუსეთს ვთავაზობთ საუბარს. საუბარს ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და ვთავაზობთ ფორმატებს, რომლიდან გამომდინარეც, ეს ისტორიული აბსურდი, რომელიც ჩადენილია საქართველოს მიმართ, უნდა გამოსწორდეს. არავის უთქვამს, რომ ეს იქნება ერთ დღეში, ან ორ დღეში, ან ასეთი რაციონალური და მშვიდი პოლიტიკა ნაყოფს გამოიღებს დღეებში და თვეებში, მაგრამ ეს არის ერთადერთი პოლიტიკა, რომლითაც შენ უნდა ელაპარაკო შენს მეზობელ ბირთვულ სახელმწიფოს და მეტიც, ეს არის რეალურად ერთადერთი პოლიტიკა, რომელიც შეგვაძლებინებს ჩვენ არა მარტო ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებას, არამედ ჩვენი მოქალაქეების დაბრუნებას, რომლებიც ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

**„საქართველო უნდა წავიდეს მომზადებულ შეხვედრაზე. შეხვედრა უბრალოდ შეხვედრისთვის და შეხვედრა, რომელსაც არ ექნება კონკრეტული დღის წესრიგი, თავისთავად არაფერ ღირებულს არ წარმოადგენს.**

**ბუნებრივია, ჩვენ ასეთი შეხვედრის მომზადებისთვის მზად ვართ და თუ იქნება ამის პოლიტიკური ნება და ეს პოლიტიკური ნება მარტო საქართველოში ვერ წარმოიქმნება. ეს უნდა წარმოიქმნას საქართველოშიც და რუსეთშიც. თუ იქნება რუსეთის ფედერაციის მხრიდან იმ რეალობის გააზრება, რომ საქართველოს ოკუპაციით არცერთი რუსული პრობლემა არ წყდება, არამედ პირიქით, რუსეთს, როგორც დიდ მოთამაშეს მსოფლიო პოლიტიკაში ამით მხოლოდ ქულები აკლდება. თუ იქნება იმის გააზრება, რომ საქართველო რუსეთისთვის მტერი არ არის, არამედ საქართველო თავის სუვერენიტეტის დაცვის პირობებში არის კეთილმეზობლობისკენ განწყობილი, ამ გააზრების ფონზე, შესაბამისი უწყებების ფონზე, ბუნებრივია, ასეთ შეხვედრას ექნება აზრი“,** — განაცხადა მარგველაშვილმა.

## სანდრო ბრეგაძე პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს აანონსებს

**ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფის წევრი, სანდრო ბრეგაძე პრეზიდენტის მიერ აღნიშნულ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებაზე უარის თქმას გამოეხმაურა.**

მისი თქმით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით საპროტესტო აქციები დაიწყება.

**„მარგველაშვილი აღარ არის საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი, რადგანაც მან სულში ჩააფურთხა ნახევარ მილიონ თავის ამომრჩეველს. მან გადადგა ნაბიჯი, რომელიც მიმართული არის საქართველოს მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, მარგველაშვილი აღარ ითვლება საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად. იმისათვის, რომ განვახორციელოთ მისი გადაყენების პროცედურა, ჩვენ მივმართავთ სამართლებრივ გზას და აგრეთვე, მივმართავთ მძლავრ საპროტესტო აქციებს. ჩვენ გვინდა, რომ ამ აქციებს მივცეთ რადიკალური, მწვავე ფორმა“,** — აცხადებს სანდრო ბრეგაძე.

## ნინო ბურჯანაძე: პრეზიდენტი ვერ იღებს ეროვნულ გადაწყვეტილებებს!



„ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა დღეს კომენტარი გააკეთა პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ უარზე რეფერენდუმის გამართვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მარგველაშვილის არგუმენტები არის ხელოვნურად მოტანილი იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში წინა რეფერენდუმებიც, რომლებიც ეხებოდა, მათ შორის, პარლამენტის რიცხოვნობის შემცირებას, ნატოში საქართველოს გაწევრიანების თემას, დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

**„მაინტერესებს ერთ შეკითხვაზე თუნდაც რიტორიკული პასუხი, რას იზამდნენ ქართველი პოლიტიკოსები, მუდმივად რომ არ ჰქონდეთ საძახებელი რუსეთი და რუსეთის ოკუპაცია?! რით გაამართლებდნენ საკუთარ არაკომპეტენტურობას, გაუბედაობას, უსუსურობას. ეტყობა მათთვის რუსეთის თემა სამაშველო რგოლი გახდა. ეს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტმა რეფერენდუმზე უარის არგუმენტად გამოაცხადა, რომ თითქოს ეს რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს. ეს არის ხელოვნურად მოტანილი არგუმენტი და ამ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ყველა მანამდე გამართული რეფერენდუმი, მათ შორის, პარლამენტის რიცხოვნობის თუ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით“** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მისი თქმით, იმ ლოგიკით, რასაც საქართველოს პრეზიდენტი იყენებს, საქართველოში აღარ უნდა მოქმედებდეს არც ერთი კანონი იმიტომ, რომ კანონი მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მაგრამ დღეს სამწუხაროდ, დეფაქტო ეს კანონები ვერ მოქმედებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე.

„აღნიშნული გადაწყვეტილება არის ძალიან უსუსური **გამოსავალი იმიტომ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ვერ მიიღებდა იმ გადაწყბეტილებებს, რომელიც ამერიკელებისათვის არ იქნებოდა მოსაწონი. ერთმნიშვნელოვნად მინდა განვაცხადო, რომ დიახც ბატონებო, საქართველოში ყოველთვის იყო ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირი, ეს ყოველთვის ასე იქნება. ჩვენი ქვეყნისათვის ცალკე ტრაგედიაა როდესაც გვიწევს საუბარი და ახსნა იმისა, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა და ბავშვი არ შეიძლება სხვაგვარად გაიზარდოს და ნორმალურ პიროვნებად ჩამოყალიბდეს, თუმცა რაკი ამაზე საუბარი საჭირო გახდა, რა თქმა უნდა ამან კანონმდებლობაში შესაბამისი ასახვა უნდა ჰპოვოს“** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

## სააკაშვილი - „ტაკიმასხარა მიხო“...

**რუსული გამოცემა „Красная звезда“ ეხმაურება საქართველოს ექსპრეზიდენტის მიმართვას ქართველი ხალხისადმი, რომელიც ამ დღეებში გავრცელდა.**

საქართველოს ექსპრეზიდენტმა, უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი განცხადება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შესახებ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის მერვე წლისთავს მიუსადაგა. „მიხაილ ნიკოლაევიჩის“ ჩანაფიქრის მიხედვით, მისი ნათქვამი სენსაციად უნდა ჩათვლილიყო: მან გადაწყვიტა იმის მოყოლა, თუ როგორ „გადარჩა“ საქართველო მისი „ბრძნული“ ხელმძღვანელობის შედეგად...

ოდესის გუბერნატორმა საჯაროდ განაცხადა, რომ 2008 წლის ზაფხულში უკრაინის მაშინდელმა ხელისუფლებამ, კონკრეტულად კი პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ მხარი დაუჭირა სამხედრო ოპერაციის განხორციელებას სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. უფრო მეტიც — მან ისიც თქვა, თუ როგორ აქტიურად ეხმარებოდა უკრაინა მაშინ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. მიხო სააკაშვილის აღიარებით, სწორედ უკრაინის მიერ ქართული არმიისათვის გადაცემული ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების წყალობით მიიღო საქართველომ „სტრატეგიული უპირატესობა“: როცა ჩვენმა ქვეყანამ სამხრეთ ოსეთს დახმარების ხელი გაუწოდა, უკრაინული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების „ბუკ“-ისა და „ოსა“-ს მეშვეობით რამდენიმე რუსული თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული. გარდა ამისა, უკრაინამ ქართველი სამხედრო მოსამსახურეებიც მოამზადა.




მიხო სააკაშვილმა, რომელიც დღეს უკვე „უკრაინელობას“ ჩემულობს, თავი ვერ შეიკავა იმისგან, რომ კიევის ხელისუფლება რუსეთის საფრთხით არ შეეშინებინა: მისი მტკიცებით, უკრაინას თავდაცვისთვის ამერიკული იარაღი ჭირდება. „უკრაინის მთავარი პრობლემა ისაა, რომ მოძველებული ტანკსაწინააღმდეგო იარაღი აქვს“, — განაცხადა „ახლადგამომცხვარმა“ სამხედრო სპეციალისტმა, — „უფრო ახალი იარაღი ამერიკას აქვს და თუ პენტაგონი უკრაინას ამ იარაღს მისცემს, 50 რუსული ტანკის აფეთქების შემდეგ ყველაფერი სხვაგვარად იქნება“.

ქართველი თუ უკრაინელი პოლიტიკოსი გატაცებით ლაპარაკობდა, რომ „უკრაინელი ჯარისკაცის მეომრული სული მსოფლიოში საუკეთესოა“. „მას რომ ასწავლო და იარაღი მისცე, — გაშმაგდა მიხო საუბრისას, — „მთელ რუსეთს გადაუვლის და დაიპყრობს“. მან წაიტრაბახა, რომ ქართველი ოფიცრები „ამერიკელებმა მოამზადეს“ და ისინი ახლა კიევის მხარეზე იბრძვიან, თან უკრაინელებსაც ასწავლიან ბრძოლის წესებსო.

საერთოდ, მიხეილ სააკაშვილი ყოველწლიურად ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ პირველმა სწორედ რუსეთმა განახორციელა თავდასხმა ქართული არმიის ქვედანაყოფებზეო, მაგრამ 2008 წლის მოვლენებში უკრაინის მაშინდელი ხელისუფლების მონაწილეობაზე ასე ოფიციალურად მან მხოლოდ ახლა განაცხადა. პრინციპში, ეს გასაკვირი არაა — მიხეილ სააკაშვილი ხომ დღეს უკრაინის ანტირუსულ ხელისუფლებაში მუშაობს და, შესაბამისად, მისთვის მომგებიანია, რაც მეტად დაიძაბება სიტუაცია უკრაინასა და რუსეთს შორის.

ისე, გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის ნათქვამი სენსაციამდე ვერ ქაჩავს. ექსპერტებმაც და საზოგადოებამაც დიდი ხანია, იციან, რომ იმ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს სწორედ უკრაინული სამხედროები მართავდნენ და ემსახურებოდნენ. არის აგრეთვე ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ საქართველოში იმ ხანებში განსაკუთრებული „სპეცნაზიც“ ჩამოყალიბებულა, რომელიც უცხოელი კადრის სამხედროებითა და დაქირავებულებით დაკომპლექტდა...

რისთვის დასჭირდა ოდესის ოლქის გუბერნატორს სამხრეთ ოსეთის თემაზე გამოსვლა?

ალბათ, მიხომ მსოფლიოს საზოგადოებას საკუთარი თავი გაახსენა, ანდა შეიძლება ამით კიდევ ერთხელ შეეცადა პირადი პასუხისმგებლობის მოხსნას ომის გაჩაღებაში, რომელიც საქართველოსთვის კატასტროფით დასრულდა და რომელმაც ბევრ ქართულ ოჯახს ძაძები ჩააცვა, შვილებისა და ახლობლების დაღუპვის გამო. ის, რაც ამ ავანტიურისტმა 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინა, სამხედრო დანაშაულია. პრეზიდენტი მიხო სააკაშვილი მაშინ მხოლოდ გავლენიანმა ნატოელმა მფარველებმა გადაარჩინეს. არადა, იგი უკვე მზად იყო თბილისიდან გასაქცევად, როცა რუსი მედესანტეების მოახლოება გაიგო...

ოდესის ოლქის გუბერნატორის განცხადებები „მსოფლიოში საუკეთესო უკრაინის არმიის“ თაობაზე იმას ნიშნავს, რომ მიხო კიევის ხელისუფლებას ელაქუცება. ხომ ყველასთვის ცნობილია ის ამბავი, რომ მიხომ სამსახური უკრაინაში აშშ-ის თხოვნით მიიღო? საქართველოს კი არაადეკვატურობით ცნობილი მიხეილ სააკაშვილი არ ჭირდება.



# ონის მუზეუმს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება

**აგვისტოს დასაწყისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II რამდენიმე დღით რაჭას ეწვია. ჩემთვის დიდი პატივი იყო, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მონაწილეობა მიმეღო რაჭის ყველა ღონისძიებაში (ამბროლაურის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის კურთხევა, ნიკორწმინდის ტაძრის ათასწლოვანი იუბილის აღნიშვნა და სხვ.). პატრიარქის ყოფნა ამა თუ იმ მხარეში ყოველთვის დიდ სიხარულსა და ხალხის კმაყოფილებას იწვევს. რაჭაში ეს განსაკუთრებულად მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ზეიმს (განსაკუთრებით ნიკორწმინდის ათასი წლისადმი მიძღვნილ ლიტურგიას) სრულიად საქართველოს ზეიმის ელფერი დაჰკრავდა. თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი და რაჭველების დიდ სიხარულს თავის კმაყოფილებას უერთებდნენ.**

აღნიშნული ღონისძიებები ფართოდ გაშუქდა ჩვენს მედიაში და მისი აღწერით თავს არ შეგაწყენთ.

მინდა ყურადღება გავამახვილო ონის (რაჭის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მდგომარეობაზე. მე ბევრი რეგიონალური მუზეუმი მინახავს. გულწრფელად ვიტყვი, რომ ეს დაწესებულებები უდიდეს საქმეს აკეთებენ მოსახლეობის კულტურული აღზრდის თვალთახედვით, მათში ისტორიული ინფორმაციის შეტანით. შემიძლია ვთქვა მთელი პასუხისმგებლობით, რომ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გამორჩეულია, გამორჩეულია კოლექციების სიმდიდრით, პირველხარისხოვანი სამუზეუმო ექსპონატებით, უხვი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალით, ფერწერის საოცარი ნიმუშებით, ნუმიზმატიკური განძით, კერამიკისა და სამეურნეო იარაღის კოლექციით. მეტად მნიშვნელოვანია ძველებური ფოტოსურათების კოლექცია. საოცარია მუზეუმში წარმოდგენილი შესამოსელი (გამორჩეულია ქართველი მანდილოსნის კოსტიუმი) და სხვ.

შევნიშნავთ, რომ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი თავისი არსებობის სამოცდაათამდე წელს მოითვლის. ბევრ სირთულეს გაუძლო მან — ობიექტურს თუ სუბიექტურს. დიდად დააზარალა მიწისძვრებმა (განსაკუთრებით 1991 წელს რაჭაში მომხდარმა მიწისძვრამ). პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ თავისი შინაარსით ეს უნიკალური მუზეუმი სავალალო მდგომარეობაშია. საქმე ისაა, რომ სახლი, რომელშიც განთავსებულია ონის მუზეუმი, ავარიულია. ობიექტურობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ მუზეუმისთვის ახალი შენობის აგება გადაწყდა. მშენებლობის დაწყების მონდომებაც იყო, მაგრამ გასული საუკუნის 90- იან წლების სირთულეებმა (ასეთი ბევრი იყო) ხელი შეუშალა გადაწყვეტილი საქმის მსვლელობას. ამგვარი ვითარების გამო დღემდე ვერ ხერხდება თანამედროვე სამუზეუმო მოთხოვნილებების შესაბამისი ექსპოზიციის მოწყობა. შედეგი ისაა, რომ სიძველეთსაცავებში დავანებული 14000-ზე მეტი ექსპონატი აქამდე მზის სინათლეს ელოდება.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კვლავ დადგა დღის წესრიგში ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის ახალი შენობის აგების საკითხი. მუშავდება პროექტიც. რაიონის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ამ საქმით. მიგვაჩნია, რომ ამ საშური საქმის რეალურ გზაზე დაყენებისთვის აქტიურად უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ. იმედია, ამ დღეებში პრემიერ-მინისტრის რაჭაში სტუმრობა დადებითად წაადგება საკითხის გადაწყვეტას. ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მშენებლობის დაფინანსების საქმეში მზადაა წილობრივი მონაწილეობა მიიღოს „თიბისი“ ჯგუფმა (**მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე**). მუზეუმის შემდგომი ბედის განსაზღვრაში, ვფიქრობთ, თავის სიტყვას იტყვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ერთად.



**ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელიც უნიკალური სამუზეუმო მასალის მფლობელია, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.**

***რონ მეტრეველი,***

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.*

# ოო, დროებავ! ოო, ზნეობავ!

## 2007 წლის 10 აგვისტოს გამომცემლობა „სამშობლოს“ რედაქციაში სპეცრაზმი შევარდა

**— „იმას, რაც დღეს „რუსთავი-2“-თან მიმართებაში ხდება, საერთოდ, იოტისოდენადაც კი არაფერი აქვს საერთო სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან, ეს ჩვეულებრივი მართლმსაჯულების განხორციელებისა და აღსრულების პროცესია“ — წერს ისტორიკოსი, ბლოგერი დავით გოგიშვილი.**

— „მე ვიცავ სიტყვის თავისუფლებას“ — ამ ფრაზას ხშირად გაიგონებთ. სამწუხაროდ, სიტყვის თავისუფლების დაცვაზე განცხადებები მეტწილად გაზეპირებული და გაუაზრებელი ხასიათისაა. ისევე, როგორც ჟურნალისტიკას აქვს თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონები, აპრობირებული მსოფლიო სტანდარტების დონეზე მეცნიერების ამ დარგის ავტორიტეტული წრეების მიერ, ასევეა „სიტყვის თავისუფლების„ ცნებასთან მიმართებაში. არაერთხელ აღმინიშნავს და კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ჟურნალისტიკის, მედიის, როგორც ცივილიზაციის ერთ-ერთი მიღწევის, ქართული გაგება მნიშვნელოვნად განსხვავდება ზოგადად ტერმინ „ჟურნალისტის“ და „ჟურნალისტიკის“ საყოველთაოდ აღიარებული წესებისგან. იგივე შეიძლება ითქვას „სიტყვის თავისუფლებასთან“ დაკავშირებითაც. გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი.



- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შელახვა იყო, როდესაც 1991 წლის ოქტომბერში „მრგვალი მაგიდის“ აქტივისტებმა დაარბიეს გაზეთ „დრონის“ რედაქცია.
- სიტყვის და გამოხატვის უფლების შელახვა იყო, როდესაც 1992 წელს „მხედრიონმა“, დაარბია გაზეთ „იბერია-სპექტრის“ რედაქცია.
- სიტყვის და გამოხატვის უფლების შელახვა იყო, როდესაც 1992 წლის იანვარში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ახალმა ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას მომხრეობის მოტივით ტელევიზიიდან დაითხოვა ჟურნალისტები, რომლებიც შემდეგ წლების განმავლობაში იდევნებოდნენ განსხვავებული აზრის გამო.
- სიტყვის და გამოხატვის უფლების შეზღუდვა იყო, როდესაც 1995 წელს „რუსთავი-2“-ს გადამცემი დაუწვეს ანძაზე და მაუწყებლობა გაუჩერეს.
- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იყო, როდესაც 1996 წელს გაზეთ „დილის გაზეთის“ რედაქციაში დარეკა იმხანად ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა და კატეგორიულად მოსთხოვა გაზეთის რედაქტორს, რომ „გაეჩუმებინათ“ ან საერთოდ გაეშვათ სამსახურიდან ჟურნალისტი ბაკურ სვანიძე, რომელიც ედუარდ შევარდნაძის მიმართ ძალიან მწვავე, კრიტიკული სტატიებით გამოირჩეოდა, ხოლო რედაქტორის მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ მოსალაპარაკებლად მიაგზავნა იმხანად NGO სექტორში მოღვაწე გიგა ბოკერია.
- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და შელახვა იყო, როდესაც 2003 წელს გიგა ბოკერიას უშუალო ჩარევის შედეგად საქართველოს ტელევიზიის პირველი არხიდან უკანონოდ გაათავისუფლეს ასობით თანამშრომელი „ვარდების რევოლუციასადმი“ არასოლიდარულობის გამო.
- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და შელახვა იყო, როდესაც 2004 წლის 12 მარტს ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით სასტიკად დაარბიეს ბასილ მკალავიშვილის მომხრეები რელიგიური რიტუალის აღსრულების დროს.
- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შელახვა იყო, როდესაც 2004 წელს კომპანია „ომეგას“ მფლობელს ზაზა ოქუაშვილს თავს დაესხა შსს-ს სპეცნაზი და დაარბია ტელეკომპანია „იბერია“ და სტამბა „ომეგა“
- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შელახვა იყო, როდესაც 2005 წლის 27 აგვისტოს, დადგმული პროვოკაციის საფუძველზე, დააკავეს ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებელი შალვა რამიშვილი და კომპანიამ საქმიანობა შეწყვიტა.
- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შელახვა იყო, როდესაც 2007 წლის 10 აგვისტოს ღამის 3 საათზე გამომცემლობა „სამშობლოს“ რედაქციაში შევარდა შსს-ს სპეცრაზმი, იმხანად საქართველოს პარლამენტის დეპუტატის ვან ბაიბურთის შვილის გრიგოლ ბაიბურთის ხელმძღვანელობით და სასტიკად დაარბია 10 გაზეთის რედაცია. იმ პერიოდში სააკაშვილის გავლენის ქვეშ მყოფმა ყველა ტელევიზიამ ეს ნიუსი დაბლოკა მისი ხელისუფლებისათვის „არასასურველობის“ გამო.
- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შელახვა იყო, როდესაც 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის უშუალო ბრძანებით სასტიკად დაარბიეს ტელეკომპანია „იმედი“ და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის კერძო საკუთრება.
- სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შელახვა იყო, როდესაც 2011 წლის 28 მაისს, 26 მაისის სისხლიანი დარბევის შემდეგ ამ მოვლენების ოპერატიულად, ნონ-სტოპის რეჟიმში გაშუქების გამო ფინანსური პოლიციის სპეცრაზმი თავს დაესხა მედიაჰოლდინგ „პალიტრას“ ობიექტებს, დაარბია და დააყადაღა ისინი და დაუწესა მსხვილი ფინანსური ჯარიმა.
- სიტყვის და გამოხატვის უფლების შეზღუდვა იყო, როდესაც „ქართუ“ ჯგუფს და „გლობალ-TV“-ს განბაჟების პროცედურისას გაუნადგურეს და დაუზიანეს სატელევიზიო გადამცემები და სხვა სატელევიზიო ტექნიკა, დაუყადაღეს სატელიტური თეფშები. ეს ყველაფერი ხდებოდა იმჟამინდელი ხელისუფლების პირველი პირების მითითებით

**აი, ბატონებო!!!!! არასრული ჩამონათვალი იმ შემზარავი ფაქტებისა, როდესაც უკიდურესი ძალადობრივი მეთოდებით, ყველა საერთაშორისო კონვენციისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, ფეხქვეშ იქნა გაითელა დემოკრატიის უზენაესი ფასეულობა — გამოხატვის უფლება. ის ღრმად პატივცემული ჟურნალისტები და საზოგადოების ცნობადი სახეები, რომლებიც დღეს მენტორული ტონით გვესაუბრებიან ეკრანიდან და მორალს გვიკითხავენ, რომ კოლეგიალობასა და მედიის უფლებების შელახვის ფაქტებისადმი სოლიდარულნი ვიყოთ, იმ წლებში ამ ფაქტებზე ხმას არ იღებდნენ, მეტიც, კომფორმიზმის მორევში ძალიან კომფორტულად გრძნობდნენ თავს ხელისუფლებისა და ხელისუფლებების კალთებქვეშ.**

**იმას, რაც დღეს „რუსთავი-2“-თან მიმართებაში ხდება, საერთოდ, იოტისოდებადაც კი არაფერი აქვს საერთო სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან და არის ჩვეულებრივი მართლმსაჯულების განხორციელებისა და აღსრულების პროცესი. საქართველოში მოღვაწეობს ათობით ინტერნეტ გამოცემა, ინტერნეტ ტელევიზია და რესპუბლიკური მაუწყებელი. მით უფრო ქვეყნის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაამარტივა მედიასაშუალების დაფუძნებისა და ეთერში გასვლის ტექნიკური და იურიდიული მხარეები. დღესდღეობით პოლიტიკური ვაჭრობისა და სპეკულაციის, კორუფციული გარიგებების საგანს აღარ წარმოადგენს მარეგულირებელ კომისიაში ე.წ. „სიხშირის“ მოპოვებაზე ვაჭრობა ხელისუფლებასთან. ისე არ წვიმს, როგორც ქუხს ბატონებო!!!!!!! ზუსტად თქვენნაირი ორმაგი სტანდარტების მოყვარული მორალის ხალხზე თქვა თავის დროზე ძველმა ბერძენმა ანტიკურმა მოაზროვნემ ციცერონმა: „OOO TEMPORA, OOOO MORES!!!!!„-ოოოო!!!! დროებავ!!! და ოოო, ზნეობავ!!!“**





## რეალურად არ შეიძლება კონსტიტუციურმა სასამართლომ ცნოს რომელიმე ნორმა არაკონსტიტუციურად

განაცხადა პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების" ლიდერმა გია ვოლსკიმ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას.

**„პაპუაშვილი ამტკიცებს, რომ იმისდა მიუხედავად, თუ კი საარჩევნო კოდექსის რომელიმე ნორმას გამოაცხადებდა ანტიკონსტიტუციურად — ეს არაფერს არ გამოიწვევდა. რასაკვირველია, გამოიწვევდა და, რასაკვირველია, რომ არა პლენუმის განხილვა, რომ არა კვორუმის გაზრდა — ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნებოდა იმ კოლეგიაში, რომელსაც თვითონ აკონტროლებს. რასაკვირველია, ის საკითხი რომელზეც იგი საუბრობს, კი ბატონო შეიძლება მოითხოვს დამატებით იურიდიულ კონსულტაციას, მაგრამ რეალურად არ შეიძლება კონსტიტუციურმა სასამართლომ ცნოს რომელიმე ნორმა არაკონსტიტუციურად",** — განაცხადა ვოლსკიმ.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის საკითხთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე განცხადება გაავრცელა.

მისი თქმით, საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობდა სულ 8 მოსამართლე და ისინი იყვნენ ერთსულოვანი გადაწყვეტილების იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა პარლამენტის მიერ საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენას და ერთხმად მიიჩნიეს, რომ ეს ნორმები შეესაბამებოდა კონსტიტუციას.

## „უცხოურმა ორგანიზაციებმა უნდა გააცნობიერონ, რომ საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო არაობიექტურია"

ეკა ბესელიას და გედევან ფოფხაძის გავრცელებულ მიმართვას დროულს უწოდებს მათი თანაგუნდელი გურგული მაღრაძე.

**„ძალიან დროულია, რომ ასეთი მიმართვა იყოს განსაკუთრებით უცხოური ორგანიზაციების მიმართ, რომ მათ გააცნობიერონ, რომ საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო სამწუხაროდ არ არის ობიექტური, არ არის მიუკერძოებელი იმიტომ, რომ უბრალოდ თუ განვიხილავთ ჩვენ ასე ვთქვათ სტატისტიკას და იმ სისწრაფეს საქმეების განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლო აკეთებს ხოლმე იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის გადაწყვეტილება უფრო სარგებლიანი ნაციონალური მოძრაობისთვის, ვიდრე სხვისთვის და სხვა სარჩელები შეიძლება იქ თვეობით იდოს, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ არის გარკვეული მიკერძოება,"** — განაცხადა მაღრაძემ.

## „საკონსტიტუციო რევოლუცია ჩაიშალა იმიტომ, რომ პაპუაშვილს არ ეყო რესურსი სააკაშვილის დავალების შესასრულებლად"

**„გადავწყვიტეთ, რომ ეს შეფასება გაგვეკეთებინა იმ საზოგადოებისათვის, რომელიც საკმაოდ ყურადღებით უყურებდა ამ პერიოდში ამ პროცესს და დაგვესაბუთებინა ჩვენი ხედვა, თუ რითი იყო განპირობებული ყველა ის მოვლენა, რაც ხდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესები იყო პოლიტიკურად მოტივირებული. ჩემი აზრით, საკონსტიტუციო რევოლუცია ჩაიშალა იმიტომ, რომ რესურსი პაპუაშვილს არ ეყო დავალების შესასრულებლად, რაც მას ჰქონდა, სავარაუდოდ, სააკაშვილისგან,"** — განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

# როცა ნაცთა ქვემწოლი პაპუაშვილი ხელისუფლების ზეწოლაზე საუბრობს

## საქართველოს პარლამენტის წევრები დიპლომატებსა და საზოგადოებას მიმართავენ



**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე განცხადებით მიმართავენ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და ქართველ საზოგადოებას, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.**

„ჩვენი განცხადების მიზანია, ქართველ საზოგადოებას და საერთაშორისო თანამეგობრობას კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ „ნაციონალური მოძრაობის" სახე, ამჯერად მის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ იარაღად გამოყენების მცდელობის მაგალითზე.

წლების განმავლობაში „ნაციონალურ მოძრაობას" ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და ინსტიტუტი, ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლო, პოლიტიზებული ჰყავდა.

რეალურად, არანაირი ზღვარი არ არსებობდა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მაშინდელ მმართველ პარტიას შორის. სწორედ ამ უკანასკნელს ემსახურებოდა ყველა სახელმწიფო ორგანო.

თავის მხრივ, პარტია ატარებდა ერთი ადამიანის და მასთან დაახლოებული მცირე ჯგუფის ინტერესს.

დღეს ყველასთვის ნათელია, თუ როგორ იყო ფორმირებული საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი გვევლინებოდა „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესების დამცველად, რომლისთვისაც კანონზე მაღლა იდგა ყოფილი მმართველი პარტიის პოლიტიკური ინტერესები და სადაც წამყვან ძალას ამავე პარტიისთვის „განსაკუთრებით საიმედო" პირველი კოლეგია წარმოადგენდა.

სწორედ ეს უკანასკნელი იყო ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმის უპირობო განმხილველი, ვინაიდან იგი დაკომპლექტებულია ერთი პოლიტიკური გუნდის წევრებით, რომლებიც წლების განმავლობაში ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ მეტად მჭიდრო სამსახურებრივი და პირადი ურთიერთობებით.

სასამართლოს თავმჯდომარისა და მასთან გამორჩეულად დაახლოებული რამდენიმე მოსამართლის მოქმედებების შინაარსი სრულად შეესაბამება „ნაციონალური მოძრაობის" ხელწერას და აშკარად გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო ქაოსისა და „ხელოვნური პოლიტიკური კრიზისის" შესაქმნელად ზემოხსენებული პოლიტიკური ძალის უკანასკნელი საყრდენი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ჯგუფი იყო, რომელიც, „საკონსტიტუციო რევოლუციის" სცენარის ჩაშლით განბილებული, კვლავ ცდილობს, შეასრულოს პარტიული დავალება.

როგორც კი საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე მოსამართლემ შეძლო თავის დაღწევა პარტიული გავლენისგან, ვინაიდან ისინი მიხვდნენ, რომ შესაძლო დესტრუქციული მოქმედებებით საერთოდ შესაძლოა, ქვეყანა ამოვარდნილიყო ნორმალური განვითარების კალაპოტიდან, და ყოფილ სახელისუფლებო გუნდს არ მისცეს საკუთარი თავით მანიპულირების საშუალება, მათ წინააღმდეგ მყისიერად ამუშავდა „ნაციონალური მოძრაობის სააგიტაციო მანქანა".

კერძოდ, ორი კვირის წინათ საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა საარჩევნო პროცესში კოლაფსის შექმნას.

გასაჩივრებული საარჩევნო ნორმების გაუქმების შემთხვევაში, რეალურად დარჩენილი მცირე დროის გათვალისწინებით, საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ღია პოლიტიკური, თუმცა, აშკარად პროვოკაციული განცხადებები მოსამართლეთა მიმართ ზეწოლის განხორციელების თაობაზე.

**პერსონალური ზეწოლის ფაქტი არ დაადასტურა მთავარ საგამოძიებო ორგანოში დაკითხულმა არც ერთმა მოსამართლემ.**

**უფრო მეტიც, სასამართლოს 5-მა მოსამართლემ, თავის მხრივ, განცხადებით გამოააშკარავა ის მეტად სერიოზული კანონდარღვევები, რომლებიც ხდებოდა სასამართლოში. კერძოდ, ეს იყო:**

**სარჩელების ფარული შეცვლა პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებზე, მოსარჩელის ინტერესების სასარგებლოდ;**

**ე.წ. „პოლიტიკურად აქტუალური" სარჩელების გამიზნულად, მხოლოდ ე.წ. „სანდო" 1-ელ კოლეგიაზე და იქაც გამორჩევით მის 3 მოსამართლეზე განაწილება;**

**— კონკრეტულ საქმეთა გამორჩევა პოლიტიკური ნიშნით და მათი უპრეცედენტოდ მოკლე დროში განხილვა რიგითობის პრინციპის დარღვევით.**



ამ ფაქტების გამოაშკარავების შემდეგ, უკვე თავად ეს მოსამართლეები გახდნენ თავდასხმისა და შეტევის ობიექტები „ნაციონალური მოძრაობის", მისი პარტნიორი პარტიებისა თუ მათი სატელიტი ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოშლილ ორგანოდ, ხოლო სასამართლოს უმრავლესობას — წერილის ავტორ 5 მოსამართლეს (სასამართლო სულ 9 წევრისგან შედგება)ულირსებად და დისკრედიტებულად აცხადებენ.

**რეალურად კი, მათი აგრესიის მიზეზი გახდა, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო საბოტაჟის გეგმის ჩაშლა, ხოლო, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, მის ზოგიერთ მოსამართლესა და ყოფილ სახელისუფლებო პარტიას შორის ფარული გარიგებების გამოაშკარავება.**

უფრო კონკრეტულად კი, გამოაშკარავდა შემდეგი დარღვევები:

**1. გამჟღავნდა მეტად სკანდალური ინფორმაცია, რომ ფარულად იცვლებოდა სასამართლოში უკვე ოფიციალურად შესული სარჩელები, ანუ პრაქტიკულად გამოიკვეთა მოსამართლეთა ერთ ჯგუფსა და გარკვეულ მოსარჩელეებს შორის ფარული თანამშრომლობის ნიშნები. კერძოდ, სასამართლოში შესულ სარჩელს, სავარაუდოდ, გადამოწმების შემდეგ შენიშვნებით უბრუნებდნენ მხარეს და მას უკვე შესწორებული, შინაარსობრივად და ასევე მოთხოვნების კუთხით გაზრდილი სარჩელი შეჰქონდა, რომლითაც ხდებოდა იგივე სარეგისტრაციო ნომრით ძველი სარჩელის ჩანაცვლება. ეს, ცხადია, კეთდებოდა იმ მიზნით, რომ ხელი არ შეშლოდა მის დაკმაყოფილებას, ანუ იკვეთება, რომ პრაქტიკულად წინასწარვე გადაწყვეტილი იყო საქმის შედეგი და სასამართლო განხილვები მხოლოდ ფარსი იქნებოდა.**

აქაც იკვეთება ის ვითარება, რომ წინასწარ პოლიტიკური ნიშნით გამორჩეული საქმეები ხელოვნურად ხვდებოდა ზემოაღნიშნულ მოსამართლეებთან, რათა მათ „საჭირო" შედეგი დაეყენებინათ, ანუ კონკრეტული მოსარჩელეებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოში არსებობდა „პერსონალური" კოლეგია, რომელიც ასეთ საქმეებს „განსაკუთრებულ" რეჟიმში იხილავდა.

აღარაფერს ვამბობთ მე-2 კოლეგიაზე (იქაც 4 მოსამართლეა), სადაც ასეთი საქმეები, ცხადია, არ ნაწილდებოდა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მ. კოპალეიშვილი და კ. ვარძელაშვილი მოსამართლეობამდე წინა ხელისუფლების მთავრობის მაღალჩინოსნებიც იყვნენ, მეტად ახლო სამსახურებრივი და პირადი კავშირები აქვთ ნაციონალური მოძრაობის ბევრ მაღალჩინოსანთან, მათ შორის, ნ. გვარამიასთან- (რომელიც ამჟამად ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორია), რისი კონკრეტული ფაქტებიც გაჟღერდა კიდეც და რის გამოც მათი აცილების საკითხი დადგა „რუსთავი-2"-ის საქმეზე. თუმცა, ცხადია, მათ მიკერძოებულად არ აიცილეს ეს საქმე, გააგრძელეს მისი განხილვა და დააკმაყოფილეს კიდეც ეს სარჩელი.

**ნიშანდობლივია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2"- თან დაკავშირებული რვავე (!!!) სარჩელი(საიდანაც ერთ-ერთზე გამოიცვალა სარჩელი) დაეწერა სწორედ პირველი კოლეგიის ამ 3 მოსამართლეს. ასევე მათ დაეწერათ თბილისის ყოფილი მერის გ. უგულავას სამივე სარჩელი, ე.წ. „კაბელების საქმის" სარჩელი (სადაც ასევე სარჩელის შეცვლის ფაქტი ფიქსირდება).**

**ამ მოსამართლეთა ჯგუფზე განაწილდა შემდეგი საქმეები: საარჩევნო სარჩელი (რომლის არდაკმაყოფილების მეორე დღესვე გ. პაპუაშვილმა დაიწყო პროვოკაციული განცხადებების გაკეთება), საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმე (სადაც ძველი სამეურვეო საბჭო აღდგა), საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს საქმე (სადაც იგი გაუქმდა), ე.წ. „ორგასალებიანი მოსმენების**

**ჯერჯერობით, ცნობილი გახდა ორი ასეთი სავარაუდო შემთხვევა და ორივე მათგანი პოლიტიკური ნიშნით გამორჩეულ საქმეებს ეხება: პირველი ეს არის ე.წ. „კაბელების საქმის" სარჩელი, ხოლო მე-2 შემთხვევაში „რუსთავი-2"-ის ერთ-ერთი, ამჟამად უკვე მის სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმე.**

**2. აღმოჩნდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე შემოსულ, პოლიტიკური ნიშნის შემცველ, ზოგიერთ სარჩელს გამიზნულად ერთსა და იმავე მოსამართლეებს უნაწილებდა. ეს ხდებოდა ძირითადად „სანდო" 1-ლი კოლეგიის ფარგლებში, თუმცა აქაც ხდებოდა გარკვეული „გამორჩევა", კერძოდ, ასეთი საქმეები სისტემატურად „რატომღაც" ამ კოლეგიის მხოლოდ 3 მოსამართლესთან(კ. ვარძელაშვილი, მ. კოპალეიშვილი, მ. ერემაძე) ხვდებოდა, ხოლო მე-4 მოსამართლეს მ. ტურავას შეგნებულად არ ეწერებოდა მისი „არასანდოობის" გამო.**

სისტემის“ საქმე (სადაც ეს უკანასკნელიც გაუქმდა) და სხვ.

**3. დადასტურდა, რომ ხდებოდა პოლიტიკურად საინტერესო სარჩელების გამორჩევა და მათი უპრეცედენტოდ სწრაფ ვადებში განხილვა, მაშინ, როდესაც სხვა „რიგითი“ საქმეები გაცილებით უფრო ადრეა (წლების წინ) სასამართლოში შესული და თავიანთი განხილვის რიგს ელოდებიან.**

**გასული 10 წლის განმავლობაში პლენუმს არც ერთი საქმე არ განუხილავს 4 თვეზე ნაკლებ პერიოდში (გარდა 2 გამონაკლისისა — გ. უგულავას 2 სარჩელი) და სხვა შემთხვევებში საქმეთა დიდი უმრავლესობა პლენუმის მიერ განხილულია 7-დან 20-თვემდე პერიოდში.**

**ამ მაჩვენებლის ფონზე აშკარად თვალშისაცემია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებული ერთი სარჩელი სასამართლო პლენუმმა არსებითად განიხილა მისთვის გადაცემიდან მე-2(!), ხოლო ამავე ტელეკომპანიასთან დაკავშირებული მეორე სარჩელი — გადაცემიდან მე-3 დღეს.**

ასევე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებულ სხვა სარჩელზეც საკონსტიტუციო სასამართლომ, სარჩელის შესვლიდან რამდენიმე დღეში, კანონის ნორმის მოქმედება შეაჩერა ზეპირი მოსმენის გარეშე, ანუ ისე, რომ მხარეებს ფორმალურადაც კი არ მოუსმინა და, შესაბამისად, არც საშუალება მისცა თავიანთი პოზიციები გამოეხატათ აღნიშნულ საკითხზე.

ასეთი პრეცედენტი (რომ მხარეთა დასწრების გარეშე შეეჩერებინოს კანონის ნორმა) ამ სასამართლოს არსებობის განმავლობაში მანამდე არასოდეს არ ყოფილა. ეს უპრეცედენტო შემთხვევებია საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში და აშკარად ტოვებს დაინტერესების განცდას. ასევე პლენუმმა გ. უგულავას და ე.წ. კაბელების საქმის გაერთიანებული სარჩელების განხილვა გადაცემიდან დაახლოებით ერთ თვეში დაიწყო, ხოლო გ. უგულავას ძველი ორი სარჩელი დაახლოებით სამ თვეში განიხილა. პრაქტიკულად მთელ ამ პერიოდში, საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობას წითელ ხაზად გასდევს მის მიერ გარკვეული საქმეების გამორჩევა და უსწრაფესად განხილვა, რაც, ცხადია, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს უკავშირდება.

ამ ფონზე კი აშკარად ილახება იმ მოქალაქეების უფლებები, რომელთა სარჩელების განხილვის რიგითობა ირღვევა და ზოგიერთი მათგანი წლებია, ელოდება ამ უფლების რეალიზებას.

სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობის წერილში, რომლითაც მათ მიმართეს თავმჯდომარეს, რათა აღარ ყოფილიყო ასეთი სუბიექტური მიდგომები და სასამართლოს ემუშავა მშვიდ, თანამიმდევრულ და არაფორსირებულ რეჟიმში, სადაც ყველა მხარისთვის დაცული იქნებოდა თანაბრობის პრინციპი.

**საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა სრულიად მორგებული იყო ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური დღის წესრიგს.**

კერძოდ, როდესაც ამ ოპოზიციური პარტიის მიერ გაწეული გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ამჟამინდელი ხელისუფლება იღებდა კონკრეტულ კანონებს პარლამენტში, რაც ითვალისწინებდა მთელი რიგი ინსტიტუციონალური რეფორმებისა და პრინციპული პოლიტიკური საკითხების მოწესრიგებას, მაშინვე საქმეში ერთვებოდა საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც სწრაფად შედიოდა ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების ან მათი წარმომადგენლების სარჩელი და იგი ნაწილდებოდა „სანდო“ პირველ კოლეგიაზე.

**ეს უკანასკნელი კი ხშირად სასწრაფო წესით ჯერ შეაჩერებდა ამ კანონის მოქმედებას, შემდეგ კი ასეთივე ფორსირებულ რეჟიმში აუქმებდა გასაჩივრებულ კანონს.**

ასეთი მაგალითი მრავლადაა: საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონის გაუქმება, რომლითაც უფლებამოსილება აღუდგა ძველ სამეურვეო საბჭოს და ხელოვნური კრიზისი შეიქმნა ამ ორგანოში (ვინაიდან ძველი შემადგენლობა ნაციონალური მოძრაობის მხრდამჭერებით დაკომპლექტებული გუნდი იყო და, შესაბამისად, ამ ორგანოზე გავლენას შეინარჩუნებდნენ); საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს კანონის გაუქმება, რითაც საშუალება არ მიეცა ამ ახალშექმნილ ორგანოს, ამოქმედებულიყო (იმ მიზნით, რომ წინა ხელისუფლების მიერ არჩეულ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გ. ქადაგიძეს არ ჰყოლოდა მაკონტროლებელი ორგანო); ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ახალამოქმედებული, ძველთან შედარებით აშკარად უფრო მაღალი სტანდარტის და კონტროლის 2-გასაღებიანი სისტემა (იმ მიზნით, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა მაქსიმალურად შემცირებულიყო, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლების დროს პრაქტიკულად არანაირი სტანდარტი ამ კუთხით არ არსებობდა და დანერგილი იყო ტოტალური და უკონტროლო მოსმენების სისტემა; ამ ახალი მოდელით კი გარე კონტროლის მექანიზმი შემოდიოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სახით) და სხვ.

**ასეთივე „წარმატებით“ აპირებდა „ნაციონალური მოძრაობა“ და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გ. პაპუაშვილი უკვე „აპრობირებული თანამშრომლობის“ გაგრძელებას, და რომ არა ბოლო პერიოდში პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებები (რომლებითაც პლენუმის უფლებამოსილება გაიზარდა და სხვ.), პრაქტიკულად ქვეყანა დგებოდა გარდაუვალი საკონსტიტუციო საბოტაჟის საფრთხის წინაშე, რასაც ხელოვნურად დაგეგმილი პოლიტიკური კრიზისი (თანამდევი შედეგებით) უნდა გამოეწვია.**

**იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნულს მიეცემა შესაბამისი ობიექტური შეფასება, სწორად გაანალიზდება მიმდინარე მოვლენები, რათა მსგავსი ინსტიტუციური პრობლემები ჩვენი ქვეყნის წინაშე აღარ დადგეს და გარანტირებული იყოს სახელმწიფო და კონსტიტუციური ორგანოების მოქმედება — მოქალაქეთა უფლებების დაცვის პრიორიტეტით, და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფისადმი მსახურებით“,** — ნათქვამია მიმართვაში.

მოამზადა
**გიორგი ამაშუკელმა**

**ასეთი პრეცედენტი (რომ მხარეთა დასწრების გარეშე შეეჩერებინოს კანონის ნორმა) ამ სასამართლოს არსებობის განმავლობაში მანამდე არასოდეს არ ყოფილა. ეს უპრეცედენტო შემთხვევებია საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში და აშკარად ტოვებს დაინტერესების განცდას. ასევე პლენუმმა გ. უგულავას და ე.წ. კაბელების საქმის გაერთიანებული სარჩელების განხილვა გადაცემიდან დაახლოებით ერთ თვეში დაიწყო, ხოლო გ. უგულავას ძველი ორი სარჩელი დაახლოებით სამ თვეში განიხილა. პრაქტიკულად მთელ ამ პერიოდში, საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობას წითელ ხაზად გასდევს მის მიერ გარკვეული საქმეების გამორჩევა და უსწრაფესად განხილვა, რაც, ცხადია, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს უკავშირდება.**

◎ დანაშაულებრივი განუკითხაობა

# კანონის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა სრული იგნორირება?!

## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს

**ბატონო პრემიერ-მინისტრო,** თქვენ-**დამი ღია წერილით მომართვა პრობლემის საზოგადო მნიშვნელობამ — თბილისელთათვის ვაკე-კუს ტბის საბაგირო გზის შენარჩუნებამ — გამაბედვინა, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2 წელია, ყოვნდება ფარული საბოტაჟის გზით (მისი ლიკვიდაციისთვის ხელსაყრელი მომენტის გამონახვის განზრახვით).**

ამ მავნებლობას სათავე დაედო ნაც-მოძრაობის ზეობისას, წინა მერიის პერიოდში, როდესაც ზუსტად ბაგირგზის ტრასის ქვემოთ, ვაკის პარკის მიჯნაზე, პარკიდანვე მიტაცებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ტ. ტაბიძის ქ. №124-ში, კანონსაწინააღმდეგოდ შეითანხმეს (13.03.2013 წ.) 7-სართულიანი კორპუსის აშენების პროექტი, რომლის რეალიზაცია ბაგირგზის მუშაობას შეუძლებელს გახდის.

უფრო ადრე შეაჩერეს ბაგირგზის მოძრაობა და საზოგადოებრივი პროტესტის გარეშე მასაც ლისის ტბის საბაგირო გზის ხვედრი ელოდა, რომელიც ერთ-ერთი პოლიტიკოსის მიერ წამოწყებული მაღლივი კორპუსის მშენებლობის გამო სამუდამოდ დავკარგეთ.

პროექტი ადმინისტრაციულ და სამშენებლო ნორმათა იმდენად სერიოზული დარღვევებით იყო შეთანხმებული, რომ მშენებლობა 2013 წელსვე შეაჩერა სასამართლომ (დავა ახლაც გრძელდება). ბაგირგზის ამუშავების არაერთი მოთხოვნა, რაც თბილისელთა 4000-ზე მეტი ხელმოწერითაა დადასტურებული, უშედეგო გამოდგა.

2014 წელს თბილისის ახალმა მერმა დავით ნარმანიამ, წინასაარჩევნო დაპირებისამებრ, მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება — ვაკე-კუს ტბის საბაგირო გზის აღდგენა-რეაბილიტაციის შესახებ, რაც არანაირად არ შედის კრიმინალ მშენებელთა და მათი გავლენიანი ლობისტის ინტერესებში და სწორედ მათ მიერაა ინსპირირებული შეფერხებები სხვადასხვა ინსტანციაში.

გაჭიანურების მიზანია, ბაგირგზის ამუშავებამდე როგორმე მოასწრონ მე-6 და მე-7 სართულების აშენება, რის შემდეგაც შეუძლებელი გახდება ბაგირგზის ამუშავება.

ბოლომდე არაფერი იფარება, ჩვენ შეხვედრები გვქონდა უკანონო მშენებლობის მთავარ ლობისტთან, ცბიერ და კომუნიკაბელურ სახელმწიფო მოხელესთან, რომელმაც, მართალია, თავდაპირველად კატეგორიულად უარყო მშენებლობასთან რაიმე კავშირი, მაგრამ ზოგიერთი მონაცემის შეხსენების შემდეგ საქმიან საუბარში ავადსახსენებელ მშენებლობის თაობაზე პირდაპირ შესაშური ცოდნა გამოავლინა. მისი თქმით, ბაგირგზის უსაფრთხოდ მოძრაობისთვის სახლის 5 სართულზე მეტის აშენება დაუშვებელია და გვამცნო, რომ ბაგირგზის (რომლის აღდგენისათვის გამოყოფილი 1126000 ლარის დიდი ნაწილი უკვე ათვისებულია) სხვაგან გადასატანად პირადად აქვს შერჩეული „უკეთესი“ ადგილი.

ნათელია, რომ ბაგირგზის სადგურებისთვის მეცნიერული კვლევის შედეგად შერჩეული ოპტიმალური ადგილების შეცვლა ანტისაზოგადოებრივია.

გამოაშკარავდა სხვა ალტერნატიული დანაშაულებრივი გეგმაც — საპასპორტო მონაცემების დარღვევით ბაგირგზის ამაღლების მცდელობა (კონტრტვირთის დამატების გზით), რაც ავტორიტეტული ექსპერტების კატეგორიული დასკვნებით, გარდაუვალი კატასტროფის წინაპირობაა თანმდევი ადამიანური მსხვერპლით.

როგორც ვხედავთ, ჩვენი გავლენიანი მოწინააღმდეგეების მრავალფეროვან მეთოდებს ერთი რამ აერთიანებს — კანონის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების სრული იგნორირება.

**ბატონო პრემიერ-მინისტრო, სიამოვნებით გიდასტურებთ პირადად ჩემს და საზოგადოების უდიდესი ნაწილის ღრმა პატივისცემას და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ჩარევის შედეგად, მრავალწლიანი ბრძოლა ვაკე-კუს ტბის ბაგირგზის გადარჩენისთვის საზოგადოების გამარჯვებით დასრულდა.**

**მაგული ხუნწელია**

◎ იუსტიციის სამინისტროში

# მიწის უფასო რეგისტრაცია ერთ წელს გაგრძელდება

**1 აგვისტოდან მიწის რეგისტრაცია საქართველოში უფასო გახდა. იუსტიციის სამინისტროს განმარტებით, ცვლილებები იმ სიძნელეების აღმოფხვრამ განაპირობა, რომელსაც მიწის ნაკვეთების დაკანონების დროს მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებოდნენ. ჯავახეთში 5 აგვისტოს ვიზიტად მყოფმა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მედიასთან კიდევ ერთხელ ისაუბრა მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ.**

ინიციატივის თანახმად, სახელმწიფო მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში დაეხმარება. საარქივო საბუთების მოკვლევაში თავად საჯარო რეესტრიც ჩაერთვება. ადიგენის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურის უფროსის ზვიად გორგოძის განმარტებით, იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც იზრდება, რომელთა საფუძველზეც მიწის რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება.

მიწების პრივატიზაცია ქვეყნის მასშტაბით 2010-12 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა, რის გამოც მაშინ მოსახლეობამ საკმაოდ დიდი ფართობის დარეგისტრირება მოახდინაო, განმარტავს სასოფლო საკონსულტაციო სამსახურის უფროსი. გურამ ჯინჭველაძე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ახალი ინიციატივით რეალურად 2 წლის წინათ გართულებული პროცედურები ხელახლა გამარტივდა.



ახალციხეში გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი აცხადებს, რომ მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ჯერ ადგილობრივი ხელისუფლებისა და საჯარო რეესტრისთვის არ მიუმართავს, თუმცა აპირებს. მიწის უფასო რეგისტრაციის პროცესი ერთ წელიწადს გაგრძელდება.

**მაია იველაშვილი**

# დრო და არითმეტიკა

## თამაზ ჭილაძე ესაუბრება ზვიად კვარაცხელიას

**— ბატონო თამაზ, ძალიან სასიამოვნოა, ჩემთან საუბარს რომ დათანხმდით...**

— ეს ჩემი სურვილიც იყო. ასეთი საუბრის დროს ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს, საკუთარ რაობას ავლენს ხოლმე. რომ გითხრათ, ეს სასიამოვნო რამ არის-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ბევრი გაურბის ამას, ბევრი კი ისე მიდის ამ ქვეყნიდან, რომ საერთოდ არ იცნობს საკუთარ თავს. მეც ხშირად სრულიად მოულოდნელი, გაუცხოებული სახით მევლინებოდა ხოლმე. თითქოს ჩემი არსების წიაღში, სადღაც, ძალიან შორს ჩემი მეორე მე ცხოვრობდა, თუმცა სიშორე სრულიადაც არ უშლიდა ხელს კრიტიკული, ზოგჯერ აგრესიულიც კი ყოფილიყო ჩემ მიმართ. ოღონდ, საბედნიეროდ, მასაც ისევე სძულდა თუ უყვარდა ბევრი რამ, როგორც მე, თუნდაც ის, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდ ჭეშმარიტებად სამშობლო მიაჩნდა, ანუ მასაც იგივე ტკიოდა, რაც ერთნაირად ყველას, ვისი სამშობლოც გამუდმებით საფრთხეშია, რადგან განუკითხაობის უფსკრულის პირას მცხოვრებს, ყოველ წამს მეწყერი ემუქრება... შეიძლება ამიტომ მომინდა, მესაუბრა ახალგაზრდა მწერალთან, ანუ ჩემს კოლეგასთან, რომელიც ჩემსავით განიცდის ჩვენი ყოფის პარადოქსულ მდგომარეობას. ასე რომ მზად ვარ, გისმენ.

**— 5 მარტს ოთხმოცდახუთი წლისა ხდებით!**

— კიდევ ერთხელ მახსენებ?

**— არა, მაინტერესებს, რას გრძნობთ?**

— გული მწყდება.

**— რატომ?**

— ოთხმოცდახუთისა რომ ვხდები.

**— რამდენისას ისურვებდით, რომ ყოფილიყავით?**

— ოთხმოცდახუთის.

**— ხუმრობთ?**

— არა, უბრალოდ ვერაფერი გავუგე ამ სიბერეს, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით მარტივია, ვიდრე ახალგაზრდობა. არასოდეს მიყვარდა არითმეტიკა და ახლა სამაგიეროს მიხდის. სიბერე მხოლოდ იმით არის კარგი, რომ ვიდრე ცოცხალი ხარ, იმაზე უარესი არაფერი დაგემართება.

**— დღეს რას ისურვებდით?**

— ვითომ, შეიძლება კიდევ რამე ვისურვო?

**— რას ბრძანებთ, ჯერ სადა ხართ!**

— საქმე ის არის, რომ არ ვიცი, სადა ვარ. თითქოს სადღაც მივედი. ოღონდ, იქ არა, სადაც მინდოდა, მივსულიყავი.

**— ახლა ახალგაზრდა რომ ყოფილიყავით, რას ინატრებდით?**

— ვინატრებდი, რომ ოთხმოცდახუთის გავმხდარიყავი.

**— მაშინ მითხარით, ყველაზე მეტად რა გიყვართ?**

— უცებ დავიბენი... არასოდეს მიფიქრია ამაზე... რა მიყვარს ყველაზე მეტად? რა ვიცი... ალბათ ზღვის ყურება. პურის სუნი. ლამაზი ქალი...

**— საქმე?**

— ესეც საქმეა, თანაც მნიშვნელოვანი.

**— მე პროფესიას ვგულისხმობ.**

— არადა, სწორედ ჩემს პროფესიას ვერ ვიტან.

**— რატომ?**

— რომ შემეძლოს, ახლავე დავანებებდი თავს. ბევრჯერ ვცადე. წამების მეტი არაფერი მოუტანია ჩემთვის.

**— როდის გრძნობდით თავს კარგად?**

— როცა ვმუშაობდი.

**— ხომ თქვით, მაწამებდაო?**

— ხოდა, ის წამება მიყვარს სწორედ. გასაგებად ვამბობ? შენთან იმიტომ ვსაუბრობ, თანაც გულახდილად, იმედი მაქვს, ყველაფერს გამიგებ.

**— გმადლობთ.**

— ხო... კიდევ როდის ვგრძნობდი თავს კარგად?.. როდის და, როცა ვისვენებდი! შემეძლო, ბევრი მეფიქრა.

**— რაზე?**

— რაზედაც ვმუშაობდი.

**— წერას გულისხმობთ?**

— მე სხვა საქმე არ ვიცი.

**— კითხვა? თუ კითხულობთ?**

— ადრე ძალიან ბევრს, ახლა, სამწუხაროდ, ცოტას. კითხვას ისეთივე ენერგია სჭირდება, როგორიც წერას.

**— ახლა თუ მუშაობთ, ანუ თუ წერთ?**

— კი, ოღონდ, უფრო დიდი ხანი მიწევს დასვენება.

**— ანუ ფიქრი?**

— დიახ, ასეც შეიძლება ითქვას.

**— იღლებით?**

— უფრო ფიქრისგან, ვიდრე წერისგან.

**— რაზე ფიქრობთ?**

— რაზეც ვმუშაობ.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— მოულოდნელი კითხვები გყვარებია!

**— მგონია, ასე სჯობს.**

— კი, ბატონო. ყველა ერთნაირად მიყვარს, ვინც ნამდვილია.

**— ყველაზე დიდი მწერალი?**

— რუსთაველი.

**— უცხოელი?**

— შექსპირი.

**— თანამედროვე?**

— ოთარ ჭილაძე.

**— მწერლობის გარდა, რა გიყვართ?**

— კლასიკური მუსიკა.

**— კომპოზიტორი?**

— აქაც, ვინც ნამდვილია, ყველა.

**— ვინ არის თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ფიროსმანაშვილი.

**— ნახატი?**

— ბოტიჩელის „გაზაფხული“. უცებ სტრავინსკის „კურთხეული გაზაფხული“ გამახსენდა, აშკარად ამ ნახატითაა შთაგონებული.

**— მე ვიცი, რომ საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ყოფილხართ.**

— დიახ, საკმაოდ ბევრ ქვეყანაში. სიმპოზიუმებზე თუ ბიენალეზე.

**— ვიცი, ერთ-ერთ სიმპოზიუმზე თქვენი გამოსვლის შემდეგ ამერიკელებმა კოლუმბიის უნივერსიტეტში მიგიწვიეს.**

— კი, დამდეს ასეთი პატივი.

**— ეს თქვენს ერთ-ერთ ინტერვიუში წავიკითხე. ოღონდ, თქვენ არსად არ გითქვამთ, არც დაგიწერიათ, რომ კემბრიჯის ბიბლიოგრაფიულმა ცენტრმა საერთაშორისო ადამიანის წოდებაზე ნომინანტად დაგასახელათ.**

— თქვენ ყველაფერი გცოდნიათ.

**— რომელია თქვენთვის მთავარი სიტყვა ქართულ ენაში?**

— სამშობლო!

**— ბავშვობა თუ გახსოვთ?**

— სხვათა შორის, ძალიან პატარას მახსოვს ჩემი თავი. ქუჩაში ფეხშიშველი, პერანგისამარა ვიღაც კაცს ველაპარაკები (ჩემი ჭკუით), მერე შევიტყვე, ენა უფრო მოგვიანებით ამომიდგამს. ახლაც ფეხისგულებით მახსოვს იმ ქვების სიგრილე.

**— შეყვარებული თუ ყოფილხართ?**

— ბევრჯერ!

**— რას ნიშნავს „ბევრჯერ“? მაინც რამდენჯერ?**

— არ ვიცი, არ დამითვლია.

**— რამდენი წლის იყავით, პირველად რომ შეგიყვარდათ?**

— ყველა სიყვარული პირველია. მათი დანომრვა არ შეიძლება. ექვსი წლის ვიყავი. საბავშვო ბაღში მიყვარდა ჩემი ტოლი გოგო, თანაც სერიოზულად, ანუ უიმედოდ.

**— ხუმრობთ?**

— სიყვარულს ხუმრობა არ უყვარს. რასაკვირველია, ვხუმრობ.

**— ბავშვობა პატარა ჯოჯოხეთიაო, — გიწერიათ ერთ პიესაში.**

— დიახ, ბავშვობა, მთებივით, შორიდან არის ლამაზი. გულწრფელად რომ გითხრათ, პირადად მე, არც კი ვიცი, როდესმე ბავშვი ვიყავი თუ არა. ყოველთვის ასე ვფიქრობდი, როგორც ამჟამად, არაფერი შეცვლილა.

**— თქვენი წიგნების თაროზე ბევრი ფოტოა, ალბათ, განსაკუთრებით ძვირფას და საინტერესო ამბებს გახსენებთ. აი, თუნდაც ამ გოგონას ფოტო...**

— ოოო, ეს ჩემთვის მეტად ძვირფასი ფოტოა, როცა ვუყურებ, რატომღაც ბიჭვინთა მახსენდება. აი, ისევ ბიჭვინთა! ზოგჯერ შუაღამისას, ჩემი მორიგი, ტროპიკული წვიმების პერიოდივით გაუთავებელი უძილობის ჟამს, მოულოდნელად მომელანდება ხოლმე ბიჭვინთის სანაპირო და, გაგიკვირდება, მე კი არა, ჩემი მეორე მე გადის ხოლმე სანაპიროზე და სიბნელეში დანთქმულ ზღვას ესაუბრება.

**— ჩემს კითხვას თავს არიდებთ, არა?**

— უცნაურია, ბიჭვინთის მზე, თითქოს ღმერთის მიერ გარკვეულ ტემპერატურაზეა დაყენებული, ადამიანურ ტემპერატურაზე, თითქოს შენი არსების ნაწილი ხდება, რაღაც უცნაური, შენთვისაც გაურკვეველი, სიხარულში გაზავებული ვიღაცის მოლოდინი და ამ შემთხვევაში ის ვიღაცა, ამ ფოტოზე აღბეჭდილი გოგონა აღმოჩნდა. მას მერე დიდმა ხანმა გაიარა, ეს ფოტო ამ თაროზე უკვე ოცდაათი წელია, რაც დევს, სამართლიანად დაიმსახურა, სურათიდან ჩვენებად გადაქცეულიყო, რომელიც ჩემს ბინაში ჩასახლდა, მართალია, ვერ ლაპარაკობს, მაგრამ შეუძლია, ილუზია შექმნას სინამდვილისა, თითქოს დრო არ არსებობს, ყველაფერი ახლა, ამ წუთას იწყება და უსასრულოდ გრძელდება. უცნაურად ამაღელვა თქვენმა კითხვამ... მართალია, სიბერე გახსენების დროა, მაგრამ მაინც არ შეიძლება მოიგონო ის, რაც არასოდეს დაგვიწყებია. იმიტომ კი არა, რომ შენ არ გინდა დაივიწყო, არამედ საერთოდ შეუძლებელია იმის დავიწყება, რაც დღესაც ისევე გაღელვებს თუ გამშვიდებს, ისევე გიჩენს იმედს, რომ ცოტა ხანს კიდევ იყო ამქვეყნად (მხოლოდ ქალს შეუძლია ეს იმედი გაგიჩინოს!). არ ვიცი, რა დამემართა



— გიმხელ იმას, რაც წესით მხოლოდ მე უნდა ვიცოდე და რაც არა მარტო სხვისთვის, ჩემთვისაც დიდი საიდუმლოა.

**— ლექსებს კიდევ წერთ?**

— დიახ, ვწერ.

**— ანუ ახალგაზრდობას უბრუნდებით...**

— ლექსებს კალენდარი არა აქვთ. შეიძლება ის გაგრძნობინონ, რომ ცოცხალი ხარ... რა შეიძლება ვთქვა კიდევ... სიბერე და პოეზია ერთმანეთსა ჰგავს — ორივე საკუთარ თავთან მარტო დარჩენაა. ლექსი თითქოს უდაბნოს, ანუ სიმარტოვის მირაჟებითაა სავსე და...

**— და?..**

— იცი, რა გავიფიქრე უცებ? ჩემს სიბერეში კი არა, ჩემს სიმარტოვეში ლექსებმა უფრო დიდი როლი შეასრულეს, ვიდრე წლებმა.

**— თქვენ ხომ მითხარით, ბევრჯერ მყვარებიაო?**

— კი, ნამდვილად ასე იყო.

**— მაშინ სად არიან სხვები, მათ ფოტოებს რატომ ვერ ვხედავ?**

— საკმარისია! რაც ვთქვი, ისიც არ უნდა მეთქვა. შენ მათქმევინე, შემაცდინე... მოდი, ეს ჩემს ბებრულ სისუსტედ ჩამითვალე და დავამთავროთ ამაზე ლაპარაკი. არასოდეს, არავისთან ჩემს სიყვარულზე არ მილაპარაკია. ადვილად გამტეხე...

**— გაბრაზდით?**

— ჩემს თავზე ვბრაზობ... ეტყობა, მართლა დავბერებულვარ...

**— თქვენ ერთ პიესაში გიწერიათ, — სიბერე ერთადგილიანი საკანიაო...**

— საკანი კი არა, კარცერი ყოფილა!

**— თუ გნებავთ, ნუღარ გავაგრძელებთ.**

— არა, რატომ? მე უკვე, აბსოლუტურად მშვიდადა ვარ.

**— მოდით, მაშინ ქართულ მწერლობაზე გადავინაცვლოთ.**

— მეც ასე მირჩევნია.

**— რას იტყვით ჩვენს დღევანდელ მწერლობაზე?**

— სრული განუკითხაობა და ანარქია მძვინვარებს აქ. მწერლობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, როცა მწერლობაში მრავლობითი რიცხვი არ არსებობს. არასოდეს არ ყოფილა მწერლობის ამდენი მსურველი საქართველოში, რაც, ერთი მხრივ, ჩვენს ფარულ ენერგიაზე კი მეტყველებს, მაგრამ, ამ ენერგიას აზრი ექნებოდა მაშინ, თუკი ნამდვილ ლიტერატურად მოგვევლინებოდა. ლიტერატურულმა ანარქიამ ანარქისტული კანონები გააჩინა, რასაც უამრავი და უამრავი ახალი „მწერალი“ თავდაცვის (სინამდვილეში — შემტევ!) იარაღად იყენებს, რადგან ამ კანონების მიხედვით, ყველაფერი ის, რაც ადრე მწერლურ უმწეობად იყო მიჩნეული, ნოვატორობად ცხადდება. მიმდინარეობს ფარული, მაგრამ მაინც აშკარა ბრძოლა მწერლობის ტრადიციული გაგებისა და ტრადიციული კანონების წინააღმდეგ. თუ ამ მოვლენას სხვა კუთხიდან შევხედავდით — შეიძლებოდა ის საერთო ერთფეროვნების, საერთო სიმარტოვის, საკუთარი თავის იმედის თანდათანობით გაქრობის წინააღმდეგ ინსტინქტურ გაბრძოლებად ან თავისუფლებისკენ ლტოლვის გენეტიკურ ინერციად წარმოგვედგინა, ანუ გამართლებაც კი მოგვეძებნა. რასაკვირველია, მსგავსი მეამბოხური გამოსვლები ადვილად შეიძლება, გარკვეულ კალაპოტში ჩასმის შემდეგ, საბოლოოდ დაგვეწყნარებინა, ერთგვარად რომ არ ამძაფრებდეს ის ვითარება, რომ თვითონ გარემოა (იმედია, ჯერჯერობით), ისეთივე აბსურდული, როგორიც ქალაქის ცენტრში დავით აღმაშენებლის ძეგლის მაგივრად დადგმული ველოსიპედი.

**— მაგრამ ხომ არსებობს კარგიც ჩვენს მწერლობაში, რა მიგაჩნიათ დღეს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად?**

— ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ახალგაზრდა მწერლების წარმატება. აი, სწორედ მათი ნაწარმოებების მიხედვით ხდება ცხადი, რომ ტალანტს მემკვიდრეობითობის გრძნობა ახლავს, რომ ის შენია, შენი წიაღიდანაა ამოსული და, ამავე დროს, ეკუთვნის მომავალს, რომელიც ასევე შენია და ორგანული ნაწილია მთელი ადრეული ქართული ლიტერატურისა. ამდენად, არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, ახალგაზრდა ხარ თუ ხნიერი, ვინც ნებისმიერი ფორმის, ნებისმიერი ხასიათის ტექსტს წერს, პირველივე სტრიქონით იმ ხნისა ხდება, რამდენისაც საერთოდ ლიტერატურაა, ანუ იქიდან იწყება, როცა ადამიანმა პირველად იგრძნო კოსმოსთან ნათესაობის იდუმალება, ანუ მიუღწევლობისკენ, როგორც მისაღწევი აუცილებლობისკენ ლტოლვა.

**— ხომ არ გამოყოფდით რომელიმე ახალგაზრდა მწერალს? თქვენი სიტყვებია, ქება უფრო კრიტიკულს მხდიდა საკუთარი ნაწერის მიმართ, ვიდრე კრიტიკაო.**

— მე ვერიდები ვინმეს შექებას მისი პირველი ნაბიჯების გამო.

**— თვალი არ ეცეთ?**

— ნუ იღიმები! ეს ხალხის ნათქვამია, ხალხი კი ტყუილად არ იტყოდა. გათვალვის რა მოგახსენო, და საერთოდ, ქება ძალზე სახიფათოა, განსაკუთრებით ჩვენს მწერლურ სამყაროში. რატომღაც გასაქურდი სახლის ჭიშკარზე ნახშირით ჯვრის დასმას, ანუ დანიშვნას მაგონებს. შური, ჯიბრი მწერლობის (რა თქმა უნდა, არა მარტო მწერლობის!) თანამდევი თვისებებია. ერთ ბრძენს უთქვამს, მეგობრები ყველაფერს გაპატიებენ, წარმატების გარდაო. არპატიება კი იცით, ალბათ, რასაც ნიშნავს. კულტურის ისტორია სავსეა ადამიანური დაუნდობლობის ფაქტებით. ჩვენ ნამდვილად საინტერესო, უფრო მეტიც — მნიშვნელოვანი ახალი პროზაიკოსები გვყავს... ვიდრე ნიჭიერი კაცი მწერლის სახელს დაიმსახურებს, ანუ ვიდრე ჭუპრი პეპლად გადაიქცევა, გულგახეთქილი უნდა გამოვარდეს ავთანდილის სიმღერის მოსასმენად, გურამიშვილს ჩააკითხოს მირგოროდში, ბარათაშვილს გაჰყვეს მტკვრის პირას, ილიასთან ერთად მოკვდეს წიწამურთან, აკაკის საიდუმლო ბარათი მიუტანოს ყველას, ვინც კი გულისფანცქალით ელოდება თანაგრძნობას და სიყვარულს. ჩვენც ვიყავით ერთხელ ახალგაზრდები. მომავლისადმი თითქმის ბრმა, გაურკვეველი ლტოლვით აღგზნებულნი, ვერც კი ვგრძნობდით, რომ სწორედ ძველისადმი დაპირისპირებით ვაგრძელებდით იმ ძველს.

**— კიდევ რას მიიჩნევთ მნიშვნელოვან მოვლენად დღევანდელ ქართულ მწერლობაში?**

— ახალი შესანიშნავი მთარგმნელების გამოჩენას. ივანე მაჩაბლის ქვეყანაში უცხოურ ლიტერატურას რუსულიდან ვთარგმნიდით, როცა V საუკუნეში უკვე „ბიბლია“ გვქონდა ნათარგმნი. ბევრი საუკეთესოდ თარგმნილი წიგნი შეემატა ქართულ ბიბლიოთეკას. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ჯოისის „ულისეს“ დავასახელებდი, აწ განსვენებულ ნიკო ყიასაშვილის თარგმნილს. ეს წიგნი ქართული კულტურის დიდი შენაძენია. სხვა მთარგმნელებს, რომლებიც

მრავლად არიან, ვერ ჩამოვთვლი, თორემ იტყვიან, ხომ იცით ჩვენი ამბავი, პირველი თავისი ძმისშვილები დაასახელაო. არადა, ღმერთმა ხომ იცის, არ შევცდებოდი. არ შეიძლება, სიამაყის გრძნობა არ გაგიჩინოს ჩვენი მწერალი ქალების — პოეტების, პროზაიკოსების — შემოქმედებამ. ჩვენი ლიტერატურის ცაზე მარტოხელა მეგავარსკვლავთან ერთად, დღეს უნიჭიერეს ქალთა მთელი თანავარსკვლავედი ბრწყინავს, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ შეიძლება იფიქრო — ქართულ მწერლობაში მატრიარქატი დამყარდაო. გული დამწყვიტა ზაირა არსენიშვილისა და ლეილა ბეროშვილის გარდაცვალებამ. მჯერა, ერთის „ვა, სოფელო“ და მეორის „მარიამი“ დიდხანს და დიდხანს მოიხსენიება ქართული პროზის საუკეთესო ქმნილებათა შორის, თუ, რასაკვირველია, ჩვენი მწერლობის სწორ განვითარებას ხელს არ შეუშლის (დროებით მაინც!) სილატაკე და გულგრილობა. ღმერთო ჩემო, როდის უნდა მივხვდეთ, რომ საქართველოს ამაზე დიდი საქმე არა აქვს, რადგან მისი მისია კაცობრიობის წინაშე უძველესი და უნიკალური კულტურის მოვლა და შენახვაა.

**— ვინ უნდა ითავოს ეს? ვინ იცის, რომ ეს პრობლემა სასწრაფოდ გადასაჭრელია?**

— ნამდვილად სასწრაფოდ გადასაჭრელია, თუკი, ცხადია, ხალხად დარჩენას ვაპირებთ...

კარგი იქნებოდა, ეს დღეს ვინმემ რომ იცოდეს!

**— არც ჩვენმა პოლიტიკოსებმა იციან?**



— მე ვერ ვატყობ, რომ იციან. ეგ კი არა, მგონი, პოლიტიკოსობაც არ იციან. რა თქმა უნდა, ეს ყველას ერთნაირად არ ეხება.

**— თქვენ პოლიტიკა არ გაინტერესებთ...**

— განა შეიძლება საქართველოში ცხოვრობდე და პოლიტიკა არ გაინტერესებდეს? თუნდაც, უნებურად, პოლიტიკაში ხარ ჩართული. მთელი საზოგადოება პოლიტიზებულია. ამიტომ ჩვენ თვალწინ დაიკარგა თითქმის ყველა სხვა პროფესია, გარდა პოლიტიკოსისა... ამას მერამდენედ ვამბობ — აღარც ექიმი, აღარც მწერალი, აღარც მასწავლებელი, აღარც მსახიობი, აღარც ინჟინერი, აღარც აფთიაქარი, აღარც აგრონომი, აღარც ფინანსისტი... მითხარი — კიდევ რომელი პროფესია არსებობს? ხო, მართლა, უპირველეს ყოვლისა, დაიკარგა საზოგადოებრივი აზრი, ეს დაუწერელი კონსტიტუცია ქვეყნისთვის... დავრჩით პოლიტიკოსების ამარა, თანაც პოლიტიკური დაპირისპირება სანახაობად, თოქშოუდ იქცა, ჩვენს ტელევიზორში სხვას ვერაფერს ნახავ. აი, ჩვენ თვალწინ რამდენიმე ხელისუფლება შეიცვალა, პოლიტიკა კი იგივე დარჩა.

**— რას გულისხმობთ?**

— ამ შემთხვევაში, უცვლელ დამოკიდებულებას კულტურისა და განათლებისადმი.

**— ამბობენ, ჯერ კულტურისთვის და განათლებისთვის არ გვცალიაო.**

— ჩერჩილს უთხრეს, ომია, გვიჭირს, იქნებ კულტურის ხარჯები შეგვემცირებინაო? აბა, რიღასთვის ვომობთო? — უკითხავს ჩერჩილს.

**— როგორი უნდა იყოს დღევანდელი ჩვენი კულტურა?**

— ყოველ შემთხვევაში, ისეთი არა, როგორსაც ჩვენი ტელევიზია წარმოგვიდგენს. ჩვენს კულტურას ამჟამად ჩვენსას ვერ დაარქმევ, იმდენად ეპიგონურია, უცხოეთიდან შემოტანილ მეორად ტანსაცმელს დაემსგავსა.

**— რა არის საჭირო, რომ მისი ნამდვილობა შევინარჩუნოთ?**

— უპირველეს ყოვლისა, შევინარჩუნოთ თავისთავადობა. ნუ ვეცდებით, დავემსგავსოთ სხვას, ყველაზე უწინ სწორედ ის სხვა დაგვცინებს.

**— როგორ ფიქრობთ, მთავრობას შეუძლია ჩვენი კულტურის, კერძოდ — მწერლობის შველა?**

— ვერ გეტყვით. ვერაფრით დაემთხვა ოფიციალური დრო (თუ შეიძლება ასე ითქვას!), შესანიშნავი მწერლის ნაირა გელაშვილის გამოთქმა რომ გავიხსენოთ, „გულის დროს“, სადაც ყოველი წუთი ბედნიერების ცრემლის წვეთივით ძვირფასია და ამავე დროს შეიძლება ადამიანის მთელ ცხოვრებას მოიცავდეს. აქ პირობითობა სინამდვილედაა ქცეული და გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენივე ცხოვრებას წარმოგვიდგენს, როგორც მრავალგანზომილებიან ფენომენს, სირთულის გამო ჩვენგან თითქმის სამუდამოდ დავიწყებულს. ამიტომაც მიუწვდომელია ბევრისთვის ნამდვილი პოეზია, ნამდვილი მუსიკა, ნამდვილი მხატვრობა. კეთილი ინებოს და ადამიანმა უნდა მოიცალოს საკუთარი თავისთვის. ვამბობ ამას და, რასაკვირველია, მე თვითონვე ვხვდები, თუკი რაიმეა ამ ქვეყნად ილუზიური, უპირველეს ყოვლისა, მსგავსი მონდომება. ცივილიზაციის ყოვლისშემძლეობა ერთგვარად ათავისუფლებს ადამიანს იფიქროს რთულ, თანაც უაღრესად არაპრაქტიკულ მოვლენებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ იძულებულია, ერთგვარად ანგარიში გაუწიოს და მოდით, პირდაპირ ვთქვათ — ამით თავისუფლება შეინარჩუნოს. ასე რომ, რაც უფრო ვუახლოვდებით, თუნდაც, მარსს, მით უფრო ვშორდებით საკუთარ თავს. ახლა, თუ შენს კითხვას დავუბრუნდები, მთავრობას შეუძლია გახსნას ერთი (ჯერჯერობით!) სახელმწიფო მაღალჰონორარიანი, უმკაცრესად მომთხოვნი გამომცემლობა, თავისივე ჟურნალით, რომელიც გაფილტრავს ლიტერატურის ამღვრეულ პროცესს და მხოლოდ ნამდვილად საინტერესო ნაწარმოებს გამოაქვეყნებს, ანუ მღვრიე შლამში შეეცდება ოქროს, თუნდაც, ნამცეცების პოვნას. ამასთანავე, აუცილებელია კრიტიკის ინსტიტუტის აღდგენა. ეს ხელოვნურად არ მოხდება. დაკავშირებულია, რა თქმა უნდა, ლიტერატურის აუცილებლობის განცდასთან. დღევანდელ მწერლობაზე უფრო გარეგანი მიზეზები, საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოქმედებს, ვიდრე საკუთარი, წმინდა ლიტერატურული პრობლემები, ანუ მწერლური ცხოვრება, ასეც შეიძლება ითქვას.

**— რას გულისხმობთ საკუთარ, წმინდა ლიტერატურულ პრობლემებში?**

— აუცილებელ, ნამდვილად საინტერესო ნაწარმოებების მოლოდინს... პირადად მე მგონია, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა — ამ ბოლო დროს რამდენიმე ისეთი წიგნი გამოვიდა, რაც თავისთავად ითხოვს შეფასებასა და გაანალიზებას და რაც შეიძლება მწერლობის შემდგომი განვითარების სტიმულად იქცეს. მიხარია, რომ ამ წიგნების ავტორები უმეტესად ახალგაზრდები არიან, მაგრამ მათ თუ რამე აკლიათ, ეს, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკაა. ჩვენს თაობას გაუმართლა ამ მხრივ, ბევრი და ერთმანეთზე უკეთესი კრიტიკოსები ჰყავდა, რომელთაც არც ასაკი და არც პირადი მეგობრობა ხელს არ უშლიდა, ყოფილიყვნენ პრინციპულები და შეუპოვრები. გურამ ასათიანი, ოტია პაჭკორია, გია მარგველაშვილი, ნოდარ ჩხეიძე და, გალაკტიონის არ იყოს — „და რამდენი კიდევ ყაზბეგი!“ ღმერთმა დაგვიფაროს სოცრეალიზმისგან, მაგრამ ერთი ბესო ჟღენტი კი სჭირდება დღევანდელ ახალგაზრდობას, რომ შეეჩვიოს დაუნდობელი კრიტიკის სიმწარეს და ისწავლოს ბრძოლა საკუთარი მრწამსის დასაცავად. ალენმა, სენტ-ბიოვმა და რემი დე გურმონმა შექმნეს XIX საუკუნის დიდი ფრანგული ლიტერატურა, ანუ წარმოადგინეს რა მისი ჭეშმარიტი რაობა, შეუნარჩუნეს რა მის კორიფეებს თავისთავადობა, შექმნეს კიდეც წარმოდგენა მწერლობაზე, როგორც ერთიან ფენომენზე. სწორედ კრიტიკის აუცილებლობა დააბრუნებს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში ჩვენგან თითქმის უიმედოდ დავიწყებულ ნიჭიერების ცნებას, თუმცა, მისი ფასი იცოდა კი ვინმემ როდესმე ან სადმე?

**— ვიცი, არასოდეს პასუხობდით კრიტიკოსს, რაც უნდა დაუნდობელი ყოფილიყო...**

— რა აზრი ჰქონდა! ამით ჩემი ნაწარმოები უკეთესი ვერ გახდებოდა. ნაწარმოებმა თავისი თავი თვითონ უნდა დაიცვას, თუნდაც დიდი ხნის მერე. თუ ვერ შეძლებს, არ ყოფილა კარგი ნაწარმოები, ეს არის და ეს.

**— რა გარემოში უხდება დღეს მწერალს, ხელოვანს მოღვაწეობა, როგორია მათდამი საზოგადოების დამოკიდებულება?**

— ვერაფერს გეტყვი, რადგან საზოგადოებასა და კულტურის მოღვაწეთა შორის დღეს ღრმა უფსკრულია გაჩენილი. ისინი თითქოს ცალ-ცალკე არსებობენ, ხალხი არც წიგნს კითხულობს, არც თეატრში დადის და ეს ხდება საქართველოში, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი განათლებითა და კულტურით. შემაშფოთებელია, ზოგიერთი მეტად აქტიური ორატორის სიტყვებში გარკვეული ეპოქის სუსხი რომ იგრძნობა. „სიღარიბის მოწმობებმა“, სილატაკით თავის მოწონებამ, განკულაკების მოთხოვნამ სადამდეც მიგვიყვანა ერთხელ, გაფიქრებაც კი მზარავს. იქნებ როგორმე შევეჩვიოთ ახალ ცხოვრებას. არავის უთქვამს, დემოკრატია თანაბარუფლებიან უპოვართა ერთიანობას გულისხმობსო.

**— რას ფიქრობთ ქველმოქმედებაზე? შეუძლია თუ არა მას, მართლაც, ქმედითი დახმარება, რა როლს ასრულებს ის ამ შემთხვევაში?**

— თითქმის გადამწყვეტს! ქველმოქმედებამ და კულტურამ ერთად აიდგეს ფეხი და თითქმის ყოველივე დიადი, რაც კაცობრიობას დღემდე შეუქმნია, ქველმოქმედების შედეგად მოვლენია ქვეყანას.

**— ის საკუთარი პოპულარობისთვის იბრძვის, თუ გულწრფელია, როცა ვინმეს ეხმარება?**

— ქველმოქმედება ისეთი რამ გახლავთ, რაც სამაგიეროდ არაფერს მოითხოვს, სხვანაირად ის ვაჭრობა იქნებოდა, თანაც ბინძური. ქველმოქმედება ორმაგი პროცესია — ის გზრდის, ვისაც ეხმარები! მე არ ვიცი, რას გრძნობდა რომაელი მდიდარი მოქალაქე — სახელად მეცენატი, როცა ჰორაციუსსა და ვერგილიუსს ეხმარებოდა. თითქოს რაღაც ამოუცნობი, მისტიკური ძალის შთაგონებით, კაცობრიობას გადაურჩინა ორი გენიალური შემოქმედი. სამაგიეროდ არაფერი უთხოვია. ეტყობა, ისეთი გულუბრყვილო არ იყო, პოეტებისთვის რაიმე ეთხოვა. სამაგიეროდ, მადლიერმა კაცობრიობამ მისი სახელი უკვდავყო — ქველმოქმედების სიმბოლოდ აქცია!

**— შემოქმედს, რომელსაც ქველმოქმედი ეხმარება, რადგან არსებობისთვის სხვა სახსარი არ გააჩნია, ზოგიერთი „მათხოვარს“ უწოდებს. როგორ ფიქრობთ, ეს ბუნებრივი მოვლენაა?**

— არსად, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ეპოქაში მსგავსი რამ არ მომხდარა. მაშინ უნდა თქვან, რომ არ უნდათ მწერლობა, არ უნდათ თეატრი, არ უნდათ კინო, არ უნდათ სიმღერა, არ უნდათ ცეკვა, მოკლედ ყველაფერი, რითაც საქართველო საქართველოა! უბრალოდ, რომ გაიხსენო, ვინ იყო ასეთი „მათხოვარი“, დაწყებული, თუნდაც, მიქელანჯელოდან დღემდე, გული სიამაყით აგევსება, რომ შენც ასეთი „მათხოვარი“ ხარ...

**— რას იტყვით სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებაზე, ესეც ქველმოქმედებაა?**

— რასაკვირველია! ეს უსათუოდ კეთილშობილური მიზნით შთაგონებული ქმედებაა, მაგრამ ალბათ სიჩქარეში უნებურად დაგვავიწყდა ის ფაქტი, რომ ბიზნესს კანონი იცავს და წიგნის გამოცემაც, ცხადია, ბიზნესია, თანაც უაღრესად საჭირო. ეტყობა, ასევე უნებურად აღმოვჩნდით საკმაოდ უხერხული ვითარების წინაშე, რასაც ჰქვია ქველმოქმედება სხვის ხარჯზე! ვფიქრობ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა ასეთი, მართლაც კეთილშობილური პროექტის განსახორციელებლად სამინისტროს გამომცემლობებისგან შეეძინა წიგნები და ისე დაერიგებინა უფასოდ ბავშვებისათვის და, ვიმეორებ, ისევ უნებურად არ მოქცეულიყო წინა ხელისუფლების მსგავსად. ჩემი აზრით, ალბათ უკეთესი იქნებოდა, თუ სახელმძღვანელოებს უფასოდ მხოლოდ უპოვარი ოჯახების შვილებს დავურიგებდით და წიგნებთან ერთად, მთელი წლის სამყოფ საკანცელარიო ნივთებსაც (კალმისტრები, ფანქრები, რვეულები, ალბომები), რაც, მთლიანობაში, წიგნებზე ძვირი ჯდება. შეიძლებოდა უფასო საუზმეც დაენიშნათ ბავშვებისათვის. ასეთი ვითარების გამო, შეიძლება სულ მალე გაჩნდეს წარმოდგენა წიგნზე, როგორც უმნიშვნელო, უფასო, დროებით მოსახმარ ნივთზე და, როგორც მცოცავმა საფრთხემ, შეიძლება წიგნიდან საერთოდ განათლებაზე გადაინაცვლოს, მით უმეტეს დღეს, როცა სანახაობა და გართობა ასე ხარბად ყლაპავს და ითვისებს ყველაფერს, რაც სულ ახლახან კულტურას ეკუთვნოდა. შეიძლებოდა ისიც მეთქვა, რომ ის მხატვრული ლიტერატურა, რომლის გამოცემაც დღეს ჩვენს გალატაკებულ გამომცემლობებს უჭირთ, მოზარდებისთვის მომავალში ისევე აუცილებელი გახდებოდა, როგორც დღეს სახელმძღვანელოები.

**— სახელმძღვანელოებზე რას იტყვით, მოგწონთ?**

— თავს უფლებას ვერ მივცემ, ყველა საგნის სახელმძღვანელოზე ერთნაირად ვილაპარაკო, მხოლოდ მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოზე შემიძლია ვთქვა, რომ აშკარად გამოსაცვლელია, რაც ჩვენ არ გაგვიჭირდება, რადგან ისეთ ძვირფას წიგნს შეველიეთ ადვილად, რასაც ფიქრშიც კი ვერ დავუშვებდით — იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“!

**— იაკობ გოგებაშვილი ახსენეთ და, ლოგიკურია, ასეთი კითხვა რომ გამიჩნდა — რა მდგომარეობაშია დღეს ქართული ენა?**

— ამას ადვილად მიხვდებით, თუ ჩვენს ტელევიზიას მოუსმენ, რომელიც ქართული სიტყვებითა და რუსული სინტაქსით მეტყველებს. თითქოს რაღაცა დავთმეთ, მგონი, თანდათანობით ორენოვანი ვხდებით, ინგლისური ენის ცოდნა უკვე ოფიციალურადაა სავალდებულო.

**— ტელევიზორს თუ უყურებთ?**

— ზოგჯერ უკანასკნელ ცნობებს, უფრო ხშირად დეტექტივებს.

**— ახლა ყველა სერიალებს უყურებს...**

— სერიალი გრიპის ეპიდემიასავითაა — ჩვენ ბევრი ასეთი გრიპი მოვიხადეთ: ეგვიპტური, ბრაზილიური, მექსიკური, რა ვიცი. ახლა თურქული გრიპი გვჭირს, არა უშავს, მაგასაც მოვიხდით. სერიალს კარგი ისა აქვს, რომ უკვალოდ ქრება.

**— ამდენს ვლაპარაკობთ და თეატრზე სიტყვა არ დაგვცდენია.**

— ვისაც ჩემი ამბავი აინტერესებს, იმან, ალბათ, იცის, რომ თეატრი ჩემთვის ისევე ძვირფასია, როგორც მწერლობა.

**— დღევანდელ თეატრზე რას იტყვით?**

— ჩვენი დღევანდელი თეატრი იმ თვითფრინავს მაგონებს, ცალი მოტორი რომ გამოერთვება, მაგრამ მაინც ინარჩუნებს სიმაღლეს. თეატრი, რომელიც ბრწყინვალე ტრაგედიებს დგამდა, მოულოდნელი ტრაგედიის მსხვერპლი გახდა ისე, რომ თავად არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ეს ჩვენში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული, კულტურისადმი გაუგებარი დამოკიდებულების შედეგია.

**— რომელი სპექტაკლი მოგწონთ?**

— ორი სპექტაკლი მომწონს რუსთაველის თეატრში: „ნადირობის სეზონი“ და „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“.

**— პიესებზე რომ მეკითხა?**

— იმავეს გეტყოდი.

**— რომელი მსახიობი მოგწონთ?**

— საერთოდ?

**— დიახ, თანამედროვეც და გარდაცვლილიც.**

— სერგო ზაქარიაძე.

**— ქალი?**

— სოფიკო ჭიაურელი.

**— დარწმუნებული ვარ, ბევრ გამოჩენილ პიროვნებას შეხვედრილხართ?**

— დიახ, საკმაოდ ბევრს.

**— მაინც?**

— ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანს — გალაკტიონ ტაბიძეს. მისი რეკომენდაციით მიმიღეს მწერალთა კავშირში. ლადო გუდიაშვილს...

**— უცხოელებს?**

— ერთხელ მოსკოვიდან პარიზში პიტერ ბრუკთან ერთად ვიმგზავრე თვითმფრინავით. სხვათა შორის, თბილისიდან მოდიოდა. საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. რეჟისორები, საერთოდ, კარგად ლაპარაკობენ. აი, თუნდაც, ეფროსი, რომელსაც რამდენჯერმე შევხვდი მოსკოვში. შევხვედრივარ უილიამ გოლდინგს, აპდაიკს, ჰაინრიხ ბიოლს და კიდევ სხვა მრავალ გამოჩენილ პიროვნებას. მყავდა რუსი მეგობრები (მწერლებს ვგულისხმობ). ოთარმა და მე ისინი 2008 წლის ომის შემდეგ მოვიკვეთეთ, რადგან ომის დროს ხმა არ ამოიღეს, დაავიწყდათ მეგობრობა. მგონი საკმარისია. საერთოდ ბევრი ვილაპარაკე საკუთარ თავზე. ჩემი ინტერვიუ აღსარებას დაემსგავსა. თავიდანვე გადავწყვიტე, ბოლომდე გულახდილი ვყოფილიყავი, ანუ სიმართლე მელაპარაკა, თუმცა ვიცოდი, სწორედ ამით ნაკლებად საინტერესო ვიქნებოდი მკითხველისათვის. ტყუილი გაცილებით ეფექტურია, ვიდრე სიმართლე. ტყუილს გვიყვება თუ სიმართლეს, არ მინახავს, არც გამიგია უფრო დიდებული რამ, ვიდრე წიგნია, უმტკიცესი საბუთი ჩვენი ადამიანობისა, შინ დარჩენილ ქოლგასავით, მაშინ რომ გვახსენდება, როცა უეცრად გაგვიწვიმდება.

**— დაბოლოს: რას ფიქრობთ მომავალზე?**

— მინდა მოვესწრო, თუნდაც, ხვალინდელ დღეს. მერე ვნახოთ...

**გურამ წიბახაშვილის ფოტო.**

# აფხაზები შიშობენ, რუსეთთან გადაჭარბებულმა ინტეგრაციამ ვაითუ, ზიანი მოგვაყენოსო...

**გავლენიანი ამერიკული გამოცემა „The Christian Science Monitor“-ი, აფხაზეთის შესახებ ფრიად უეირის ვრცელ მასალას აქვეყნებს, რომლის შემოკლებულ ვერსიას, თავისუფალი თარგმანით, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:**

პუერტო-რიკოს ფართობის მქონე ამ მთიანი, სუბტროპიკული კლიმატის მქონე შავიზღვისპირა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთს და რამდენიმე სახელმწიფოს, მათ შორის ვენესუელას და ნიკარაგუას აქვს აღიარებული. ისეთი შემთხვევები, როცა აფხაზეთი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ხვდება (მაგალითად, არაღიარებული ქვეყნების მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება), ძალიან იშვიათია. სხვა შემთხვევებში გეოპოლიტიკური გაურკვევლობის გრძნობა ფრიად საგრძნობი და შესამჩნევია.

მართალია, იქ ცხოვრება მეტ-ნაკლებად უმჯობესდება, მაგრამ გამოყოფილი რესპუბლიკის საერთაშორისო-პოლიტიკური მდგომარეობა, ისევე როგორც სხვა მსგავს სიტუაციაში მყოფი სხვა ქვეყნების მსგავსად, საკმაოდ რთულია: მსოფლიოს სახელმწიფოები, მათ შორის რუსეთის მოკავშირეები ბელარუსი და ყაზახეთი, აფხაზეთს სუვერენული საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიან, აქედან გამომდინარე, სოხუმის დე ფაქტო მთავრობასთან ყოველგვარი პირდაპირი კავშირები გამორიცხულია. გლობალური არაღიარება „წითელ შუქს უნთებს“ აგრეთვე პოტენციურ ინვესტორებს და ტურისტებს, რუსეთიდან ჩასულების გარდა.

აფხაზთა უმრავლესობა მადლობას უცხადებს რუსეთს უსაფრთხოების გარანტიების მიცემისა და დამოუკიდებლობის აღიარებისათვის 2008 წელს, როცა საქართველო კიდევ ერთ გამოყოფილ ტერიტორიაზე — სამხრეთ ოსეთში შეიჭრა. ამასთან, აფხაზები შიშობენ, რომ ვაითუ, რუსეთთან გადაჭარბებულმა ინტეგრაციამ ზიანი მიაყენოთ. **„რუსეთის მფარველობა რეალურია, მოსკოვი გვიცავს. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ: რუსეთი რომ აქ არ იყოს, საქართველო იგივეს გააკეთებდა — კვლავ შემოგვიტევდა“,** — ამბობს ლიანა კვარჩელია, არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის“ ხელმძღვანელი, — **რუსეთს ამ რეგიონში ყველაზე მეტი გავლენა აქვს და, შესაბამისად, ამის იგნორირება არაგონივრული იქნებოდა. ამასთან, ჩვენ როგორც არ უნდა ვმეგობრობდეთ რუსეთთან, მის შემადგენლობაში შესვლა მაინც არ გვსურს. ჩვენ ძალიან დიდი მსხვერპლი გავწიეთ იმისათვის, რათა საკუთარი სახელმწიფო გვქონოდა, რათა საკუთარ სახლში ბატონ-პატრონნი ჩვენვე ვყოფილიყავით და ამაზე არასოდეს უარს არ ვიტყვით“.**

## მახეში გაბმულები!?

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა აშკარად გაღიზიანებულია იმ გამონათქვამისაგან, რომ მისი ქვეყანა „მახეშია გაბმული“: ერთი მხრივ, აფხაზეთის დამოუკიდებლობას ფაქტიურად არავინ არ აღიარებს, მის ირგვლივ გლობალური იგნორირების „ქვის კედელი“ არსებობს, მეორე მხრივ კი, რუსეთი — აფხაზეთის ერთადერთი მეგობარი და მსხვილი ინვესტორი — სოხუმს სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს. **„ჩვენ თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ომები გადავიტანეთ, გვანადგურებდნენ, გვხოცავდნენ, ბლოკადას გვიცხადებდნენ... მაგრამ ჩვენი ეკონომიკა მაინც ვითარდება, აფხაზეთში სამშენებლო ბუმია, უცხოეთში წასული აფხაზები უკან ბრუნდებიან, რათა ფული დააბანდონ და ცხოვრება დაიწყონ“,** — ამბობს ვიაჩესლავ ჩირიკბა, რომელმაც ბევრი ენა იცის და დიდი ხანი ცხოვრობდა ჰოლანდიაში, — **„მე ასეთ სიტუაციას „მახეში გაბმას“ ვერ ვუწოდებდი“.**

მაგრამ იმის უარყოფა, რომ აფხაზეთი მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული, ძნელია.

მოსკოვის მიერ აფხაზეთისათვის გამოყოფილი სუბსიდიები მიმდინარე წლისათვის 100 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის ბიუჯეტის ნახევარი რუსული ფულით ივსება. ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, რუსეთის სამხედრო ბაზა დაახლოებით 5 ათას სამხედრო მოსამსახურეს ითვლის, რუსი მესაზღვრეები აფხაზებთან ერთად პატრულირებენ. აფხაზური ექსპორტის მთავარი მიმართულება რუსეთია, სადაც ძირითადად ღვინო და ციტრუსები გადის, რუსეთიდან კი აფხაზეთში ათასობით ტურისტი მოემგზავრება, ვიზების გარეშე. მათ აქაური იაფი კურორტები და თითქმის ცარიელი შავიზღვისპირა პლაჟები ხიბლავთ. ტურიზმისაგან მიღებული შემოსავლები აფხაზეთისთვის მნიშვნელოვანია.

აფხაზეთი საერთაშორისო იზოლაციაშია მოქცეული, ამიტომ მათ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში გამგზავრება მხოლოდ რუსული პასპორტებით შეუძლიათ. ასეთი პასპორტები მოსახლეობის 20%-ს აქვთ, რომლებიც მათ ვლადიმირ პუტინის მმართველობის ეპოქაში მიიღეს როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა. თვით აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც კი აღიარებს, რომ უცხოეთში თვითონაც რუსული პასპორტით დადის, მაგალითად, გაეროს ეგიდით მიმდინარე ჟენევის კონსულტაციებზე. და მაინც აფხაზეთის პარლამენტმა ამას წინათ წინააღმდეგობა გაუწია რუსულ ზეწოლას და არ დაუშვა უძრავი ქონების გაყიდვა უცხოელებზე. ეს რომ მომხდარიყო, მაშინ პატარა აფხაზეთში რუსული ინვესტიციებს ნიაღვარი შემოვიდოდა და რუსები ყველაფერს შეისყიდდნენ. **„აფხაზეთში ამ კანონთან მიმართებით ორი აზრი არსებობს: ერთნი ამბობენ, რომ განვითარებისათვის ინვესტიციები აუცილებელია, რასაც უძრავი ქონების გაყიდვა უზრუნველყოფს; მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ასეთი მდგომარეობა აფხაზებს მეორეხარისხოვან პოზიციაში ჩააყენებთო - ისინი წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ მდიდარ უცხოელებს, რომლებიც აქ ყველაფერ კარგს შეისყიდიან. დღეისათვის, სანამ უძრავი ქონების სრულ რეესტრს არ შევადგენთ, ამ საკითხის განხილვა გადადებულია“,** — ამბობს ლიანა კვარჩელია.

## ომის ექო

საბჭოთა ეპოქაში შავიზღვისპირეთის აფხაზური ნაწილი ერთგვარ კავკასიურ რივიერას წარმოადგენდა, მაგრამ ოდესღაც დიდებული დასვენების კერა დღეს მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი დანგრეულ-მიტოვებული სანატორიუმებითა და სასტუმროებით, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინათ ყოველწლიურად ექვს მილიონ საბჭოთა დამსვენებელს იღებდნენ.

საბჭოთა ეპოქისდროინდელი აფხაზეთის 500 ათასი მცხოვრებიდან დღეს თითქმის ნახევარი ლტოლვილად და იძულებით გადაადგილებულ პირად არის გადაქცეული. ბევრი დოკუმენტი არსებობს ორივე მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე: როგორ ატარებდნენ ეთნიკურ წმენდას ქართველების წინააღმდეგ აფხაზები და მათი მოკავშირეები და პირიქით. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება უარს აცხადებს იძულებით დევნილი ქართველების რეპატრიაციაზე, რაც ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია თვითონ აფხაზეთისათვის — საერთაშორისო მხარდაჭერის საკითხში. აფხაზი ოფიციალური პირების თქმით, მათ არ შეუძლიათ იძულებით დევნილი ადამიანების დაბრუნება მანამ, სანამ საქართველო უარს ამბობს აფხაზეთი თანასწორ პარტნიორად აღიაროს მოლაპარაკების დროს და სანამ თბილისი არ გააფორმებს შეთანხმებას ძალის არგამოყენების თაობაზე.

პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მრჩეველი ირაკლი ხინთბა თბილისს ადანაშაულებს. იგი ამბობს, რომ საქართველოს საგარეო საქმთა სამინისტრო აქტიურად ბლოკავს აფხაზეთის მცდელობას რომელიმე ქვეყანასთან კონტაქტების დამყარების მიზნით, თვით კულტურის სფეროშიც კი. **„ისინი სხვა არჩევანს არ გვიტოვებენ, რუსეთთან პარტნიორობის გარდა, შემდეგ კი პრორუსულობაში გვადანაშაულებენ“,** — ამბობს იგი.

## „უკან დასაბრუნებელი გზა აღარაა“

ირაკლი ხინთბა აღიარებს, რომ 1992-93 წლების ულმობელმა ომმა აფხაზებსა და ქართველებს შორის ისეთი ანტაგონიზმი გააჩინა, რომლის განეიტრალება მხოლოდ თაობებს შეუძლიათ დიდი ხნის განმავლობაში. რთულად მოსაგვარებელია აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების — მეგრელების საკითხი, რომლებმაც აფხაზეთში, თავიანთ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების უფლება დაახლოებით ათი წლის წინათ მიიღეს. ზოგიერთი აფხაზი ოფიციალური პირის აზრით, მეგრელთა უფლების აღდგენა აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. **„ეთნიკური სიძულვილის ფაქტორი ნამდვილად არსებობს და ეს ჩვენი პოლიტიკური რეალობაა. ჩვენ შეცდომა დავუშვით, როცა მეგრელებს მოქალაქეობის უფლება წავართვით. ეს უნდა გამოსწორდეს“,** — ამბობს ირაკლი ხინთბა. მისი მტკიცებით, მსგავსი პრობლემები სხვა პატარა სახელმწიფოებსაც აქვთ, რომლებმაც მკაცრი სამოქალაქო ომი გამოიარეს, მაგალითად კოსოვოს. **„კოსოვო ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელ სახელმწიფოდ მიიჩნევა იმ პირობებშიც კი, როცა მის ტერიტორიას ნატო და ევროკავშირი აკონტროლებს. სახელმწიფოებრივი მშენებლობის თვალსაზრისით, აფხაზეთი განსხვავდება კოსოვოსაგან. ჩვენი საკუთარი დამოუკიდებლობა ბრძოლით მოვიპოვეთ, არავის არ უჩუქებია. ჩვენ ყველა საკითხს 25 წლის მანძილზე დამოუკიდებლად ვწყვეტდით. გვაქვს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, კანონიერება და მართლწესრიგი. კოსოვო, ჩვენგან განსხვავებით, ყველანაირ უპირატესობას იღებს, მისთვის ყველა კარი ღიაა, მას დასავლეთი ასპონსორებენ. მოკლედ, ვხედავთ, რომ მსოფლიო სისტემა ჩვენს მიმართ უსამართლოა (ორმაგი სტანდარტი ბატონობს)“,** — ამბობს ირაკლი ხინთბა.

ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, დღეს მსოფლიო თანდათან იცვლება, არის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის მცდელობები. იგი ამას წინათ შეხვდა კატალონიელ, შოტლანდიელ და ბოსნიელ სერბ სეპარატისტებს.

**„The Christian Science Monitor“ (აშშ)**




# „სამხედრო საფრთხე ნარჩუნდება“ - რას ფიქრობენ ცხინვალში

**ცხინვალში 2008 წლის აგვისტოს ომი გაიხსენეს. ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ და რუსეთიდან, დნესტრისპირეთისა და აფხაზეთიდან ჩასულმა მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა დაღუპულთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს, ხოლო დე ფაქტო პარლამენტის შენობის წინ აქცია „მეხსიერება ცოცხალია, სანამ ცოცხლებს ახსოვთ“ გაიმართა.**

დე ფაქტო პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა შეკრებილთ მოუწოდა, პატივი მიეგოთ იმ ადამიანების ხსოვნისადმი, „რომელთა წყალობით სამხრეთ ოსეთი დღეს თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

**„ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს გმირ დამცველებს. უნდა ვთქვათ ისიც, რომ იმ მძიმე დღეებში მარტონი არ ვყოფილვართ, ჩვენს გვერდში იდგნენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედროები. დიდება ყველა იმ ადამიანს, ვინც იარაღით ხელში გაათავისუფლა ჩვენი ქალაქი და ხალხი. დიდება რუსულ ჯარს, რომელმაც სულ რამდენიმე საათში გაათავისუფლა ჩვენი რესპუბლიკა და აგრესორი მშვიდობისთვის აიძულა“.**

დე ფაქტო პარლამენტის სპიკერი — პარტია „ერთიანი ოსეთის“ ლიდერი, პრეზიდენტობისთვის მებრძოლი **ანატოლი ბიბილოვი** თვლის, რომ საქართველოს მხრიდან სამხედრო საფრთხე ნარჩუნდება, სანამ ოფიციალური თბილისი ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებას არ მოაწერს ხელს:

**„ეს დოკუმენტი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და მისი გაფორმება სამხრეთ ოსეთის პირობაა. ვერ დაივიწყებ ფაშისტი სააკაშვილის დაპირებას, რომ საბრძოლო მოქმედებები არ იქნებოდა და უკვე 23:35 სთ-ზე ქალაქის მისამართით ცეცხლი გაიხსნა. მე ცხინვალში ვიყავი და აი, ეს არტმომზადება, რომელიც ყველა სახის იარაღიდან წარმოებდა, ალბათ, ვერასოდეს მიეცემა დავიწყებას ხალხის მხრიდან. არ ვიცი, რით ფიქრობდნენ ისინი, ვინც საქართველოში ბრძანებებს გასცემდა, დავიჯერო, არ ესმოდათ, რომ ქალაქი — ეს პოზიცია არ არის, ეს ქალაქია, სადაც მშვიდობიანი ხალხი ცხოვრობს, ჩვეულებრივი მოქალაქეები და ღამით ცეცხლით დაფარო ეს ქალაქი თავისი მოსახლეობით?!... და ამის შემდეგ ამ არაადამიანების ბრძანებით ქართული ჯავშანტექნიკა უბრალოდ დაბორიალობდა ქალაქში და ხვრეტდა სახლებს... საქართველო შეცდა, ფიქრობდა რა, რომ ერთ დღე-ღამეში აიღებდა ცხინვალს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ არ შეეძლოთ სიტუაციის რეალურად შეფასება და ჰქონდათ იმის იმედი, რომ ოსები ჩაბარდებოდნენ. აქ მცხოვრები ადამიანები, მამაკაცები, რა თქმა უნდა, არასოდეს დაუშვებდნენ, რომ სამხრეთ ოსეთს ეს ფაშისტური ელემენტები დაჰპატრონებოდნენ. და ქართველებმა ეს, რა თქმა უნდა, იცოდნენ. რამდენადაც მესმის, ამოცანა, რომელიც ქართული ჯარის წინაშე იდგა, ოსი ხალხის ფიზიკური განადგურება იყო და ოპერაციის სახელწოდება — „სუფთა მინდორი“ — სწორედ ამას ადასტურებს“.**

საპარლამენტო სახალხო პარტიის ლიდერი **ალექსანდრე ფილიევი** ამბობს, რომ 2008 წლის აგვისტოში ქართული არტილერიის დაბომბვებისას დაშავებული მოქალაქეების გადარჩენას ცდილობდა. ცხინვალის საქალაქო საავადმყოფოს პერსონალმა დაჭრილები სარდაფში ჩაიყვანა და მათი სიცოცხლის გადასარჩენად ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილ ოთახებში იბრძოდა, სანთლის შუქზე ატარებდა ოპერაციებს. როგორც ფილიევი ყვება, დაჭრილებს შორის მრავლად იყვნენ რიგითი მოქალაქეები.

კითხვაზე, როგორად ესახება საქართველოსთან ურთიერთობები, ალექსანდრე ფილიევი აცხადებს, რომ **„ოსი ხალხის წინაშე ბოდიშის მოხდის გარეშე ქართველები ვერასოდეს გათავისუფლდებიან ჩადენილი დანაშაულების ტვირთისაგან“.**

ცხინვალში დარწმუნებულები არიან, რომ ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და სხვა ქართველი პოლიტიკოსები, რომელთაც „სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიაში მიუძღვით ბრალი“, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროთ.



# ახალი გზა მამისონის უღელტეხილზე გადავა

**საქართველოს პემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერაზე ამბროლაურში ისაუბრა.**

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა მამისონის უღელტეხილზე გადამავალი გზის მშენებლობის დაწყებას განიხილავს.

ამასთან, გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობა აგრძელებს სვანეთში სათხილამურო და ტურისტული ინფრასტუქტურის მოწყობის ხელშეწყობას.

**„სვანეთში ჩვენ გავაგრძლებთ მხარდაჭერას, რათა როგორც მესტიაში, ჰაწვალში გაგრძელდეს სათხილამურო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე თეთნულდის სათხილამურო ტრასების მიმდებარედ განვითარდეს სასტუმრო კომპლექსები, აუცილებლად გაკეთდება ქუთაისიდან სვანეთისკენ მიმავალი გზა. ჩვენ ასევე, სერიოზულად ვიხილავთ მამისონის უღელტეხილზე გადამავალი გზის მშენებლობას, რათა ამ რეგიონმა მაქსიმალური შვება ნახოს დამატებული ტურისტული ნაკადებით“,** — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ამბროლაურის აეროდრომის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება

**ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ამბროლაურში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.**

გიორგი კვირიკაშვილმა რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მისი განმარტებით, დაწყებულია ამბროლაურის აეროდრომის პროექტირება. პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ აეროდრომის ამოქმედება რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის მძლავრი ბიძგი იქნება.

**„ჩვენ შევეცდებით ისე დაპროექტდეს ეს აეროდრომი, რომ მიიღოს არა მხოლოდ ყველაზე მცირე ზომის თვითმფრინავები, არამედ საშუალო ზომის 50-მგზავრიანი თვითმფრინავები. წინასწარი გათვლები ასეთ ტექნიკურ საშუალებას იძლევა. ეს იქნება ძალიან დიდი სტიმული ადგილობრივი მცირე მეწარმეებისთვის, საოჯახო სასტუმროებისთვის და ასევე ინვესტორებისთვის, რომ დამატებითი ინვესტიციები იქნას მოზიდული რაჭასა და მიმდებარე რეგიონებში,“** — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული ზონის განვითარებისთვის გენერალური დაგეგმარების მნიშვნელობაზე, სადაც, მისი თქმით, ადგილობრივი ლანდშაფტი და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა მაქსიმალურად იქნება დაცული. მანვე ხაზი გაუსვა სვანეთის რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სწრაფად დასრულების აუცილებლობას და პირობა დადო, რომ წლის ბოლომდე დასრულდება საჩხერის გავლით, გომიდან რაჭამდე მომავალი პირდაპირი გზის პროექტირება.

# ახალი ფერმა

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და კომპანიის „ბლაუენშტაინ საქართველო“ ხელმძღვანელ ირაკლი კერვალიშვილთან ერთად ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმში შეღავათიანი აგროკრედიტით დაფინანსებული ახალი ფერმის მშენებლობა დაათვალიერა.**



კომპანიის „ბლაუენშტაინ საქართველო“ ხელშეწყობით, ფერმა უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას. ფერმის მეპატრონემ, სოფელი ხიმშის მკვიდრმა ელდარ ხუციშვილმა 95,000 ლარის შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა. ფერმა 50-60 სულ საქონელზეა გათვლილი და წლიურად 5-6 ტონა საქონლის ხორცის წარმოება დაგეგმილი. საწარმოში 6 ადამიანი მუდმივად დასაქმდება, სეზონურად კი, 16.

ოთარ დანელიას განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მაღალმთიან რეგიონებში წარმოების ხელშეწყობაა. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს ათვისების მზარდი ტენდენციაა. შეღავათიანი აგროკრედიტითა და კომპანიის „ბლაუენშტაინ საქართველო“ ხელშეწყობით, რაჭა-ლეჩხუმი-ზემო სვანეთის რეგიონში კიდევ 3 ახალი ფერმის მშენებლობა მიმდინარეობს. საერთო ჯამში, რეგიონში 9 თანამედროვე ტიპის ფერმა იფუნქციონირებს.

# დიდუბის რაიონში 2 თვის განმავლობაში 93 ობიექტი გაკეთდა

**თანადაფინანსებული პროექტების განხორციელებისათვის მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოს მონაცემებით, დიდუბის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 93 სხვადასხვა სახის პროექტზე 806 453 ლარი დაიხარჯა.**

24 ობიექტზე შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავი შეკეთდა; 11 მისამართზე შეიცვალა მოძველებული წყალსაწრეტი მილები; 8 მისამართზე აღდგა საერთო სარგებლობის კიბე; 4 საცხოვრებელ კორპუსში შეიცვალა შიდა წყალ-კანალიზაცია, რომელიც მოსახლეობას წლების განმავლობაში პრობლემას უქმნიდა; 16 მისამართზე განხორციელდა სადარბაზოების შიდა სარემონტო სამუშაოები

მეტალის კარის სენსორული სანათებისა და დომოფონის მონტაჟი; შშმ პირთათვის გაკეთდა პანდუსი; 9 მისამართზე განხორციელდა მსხვილბლოკოვან კორპუსებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია; ამორტიზებული 12 ლიფტი სრულად განახლდა; გამაგრდა 2 მსხვილი ობიექტი, ხოლო შენობის გამაგრებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა 3 მისამართისთვის.

თბილისის მთავრობის ინიციატივით, თანადაფინანსებული პროექტების განვითარების ხელშეწყობის




პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შედეგად, მოსახლეობის მიერ თანადაფინანსებული პროექტების პროცენტულმა მონაწილეობამ სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში მნიშვნელოვნად დაიკლო. აღნიშნული ინიციატივა მოსახლეობას საშუალებას აძლევს, ნაკლები დანახარჯით მოაწესრიგოს საკუთარი საცხოვრებელი პირობები.

# პუშკინის ქუჩა ორშაბათიდან მწყობრში ჩადგება

პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი საავტომობილო მოძრაობა 15 აგვისტოს გაიხსნება. შესაბამის ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს:

**„ახალი ესტაკადა საცობებისგან განტვირთავს ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს - თავისუფლების მოედანს, მაჩაბლის, აფხაზის, ჭანტურიას, ფურცელაძის, თაბუკაშვილის, ლაღიძის, ლეონიძის, ბესიკის, ათონელის, ვირსალაძის, ვაჩნაძის, უკრაინკას, პუშკინისა და სხვა ახლომდებარე ქუჩებს, ასევე, გამსახურდიას სახელობის მარჯვენა სანაპიროს.**

**ესტაკადა ლითონის კონსტრუქციით არის ნაგები და ახალი ხიდის სიმაღლის დონე თითქმის არსებული გზის შესაბამისია. ახალი ესტაკადა, კონცეფციის თანახმად, ძველი ქალაქის სტილში ჩაჯდება, გამომდინარე აქედან, ხიდის მშენებლობით ძველი თბილისის იერსახე არ დაიკარგება და ესტაკადის ქვეშ აღმოჩენილი ქალაქის ნანგრევები შენარჩუნდება.**

**ამასთან, მოეწყო საფეხმავლო ბილიკი, რაც ტურისტული თვალსაზრისით და ვიზიტორების გადაადგილების კუთხით აღნიშნულ ტერიტორიას კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის. დედაქალაქის მასშტაბით მიმდინარე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ფარგლებში, თბილისის მერი დავით ნარმანია ვიცე-მერთან, ლაშა აბაშიძესთან და მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსთან გივი კუბლაშვილთან ერთად პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენისა და გზის გაფართოების სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და კონტრაქტორ კომპანიას ბოლო მითითებები მისცა. სამშენებლო სამუშაოებს პუშკინის ქუჩაზე თბილისის მერიის კეთილ-**



**მოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით, კომპანია „CRP“ აწარმოებს და პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 4,400,000 ლარია გამოყოფილი“.**

# განახლდა შემოვლითი გზის მშენებლობა

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ხერგიანი ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლით გზაზე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.**

ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, 15.2 კმ-იან მონაკვეთზე, გათვალისწინებულია ცემენტ-ბეტონის საფარიანი 4-ზოლიანი ჩქაროსნული გზის, 9 პარალე-



ლური ხიდის, 2 სატრანსპორტო კვანძის, 5 საფეხმავლო ხიდის, მიწისქვეშა გასასვლელებისა და რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მშენებლობა.

ამ დროისთვის, გზის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოები იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება. პროექტზე 360 ადამიანია დასაქმებული.

# ვაჟა-ფშაველას გამზირი საბაგირო ხაზით, შესაძლოა, წყნეთს დაუკავშირდეს

თბილისის რამდენიმე უბანში საბაგირო ხაზის განვითარება იგეგმება. ამის შესახებ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საბაგირო სამსახურის უფროსმა ზურაბ ზურაბიშვილმა გადაცემა „ბიზნესკონტრაქტში“ განაცხადა.

**„რამდენიმე სავარაუდო პროექტი შემუშავებულია. სავარაუდოდ, ვაჟა-ვშაველას ბოლოდან, ახალი მეტროსადგურიდან, ვვარაუდობთ წყნეთში საბაგირო გზის გაყვანას. ასევე, რკინიგზის სადგურიდან თბილისის ზღვის მიმართულებით, სადაც მომავალში ზოოპარკი გადავა. ეს არის მონახაზი, თუ სად შეიძლება რომ სავარაუდოდ პროექტირებაზე გამოცხადდეს შესაბამისი ტენდერი“,** — განაცხადა ზურაბიშვილმა.

# თბილისის საბავშვო ბაღებში ძველი ფასადები რემონტდება

**პირველ ეტაპზე იმ ბაღების ფასადები კეთდება, რომლებშიც ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა იყო. ესენია: №197, №54, №112, №121 და №115 საბავშვო ბაღები.**

სამუშაოები მოიცავს კედლიდან ძველი ნალესის მოხსნას, ფასადის კედლების შელესვას, დამუშავებასა და შეღებვას, ფასადის ფანჯრებზე საცრემლეების მოწყობას, კედლების მობათქაშებას, საევაკუაციო კიბის შეღებვას. სამუშაოების მთლიანი ღირებულება 181 900 ლარს შეადგენს.



# ქართველთა ოლიმპიური ტაბლო

### ტყვიის სროლა

ალბათ, ცოტა იღბალიც და ნინო სალუქვაძე რიოში მეოთხე ოლიმპიურ მედალს მოიპოვებდა თავის მერვე თამაშებზე. ოლიმპიურ ტირში ქალები სპორტული პისტოლეტიდან სროლაში დაუ-



პირისპირდნენ ერთმანეთს. ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა საკვალიფიკაციო ეტაპი 584 ქულით დაასრულა, რაც მესამე მაჩვენებელი აღმოჩნდა. ამდენივე ქულა მოაგროვა ბერძენმა ანა კორაკაკიმ, რომელსაც ორი დღით ადრე პნევმატურში ერგო ბრინჯაოს მედალი. შესარჩევი რაუნდი 592 ქულით ჩინელმა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონმა ცზიანძინ ჩანმა მოიგო.

ნახევარფინალურ რვა საუკეთესოში, 583 ქულით ასევე, მოხვდნენ გერმანელი ევროპის რამდენიმეგზის მედალოსანი მონიკა კარჩი და ბულგარელი ევროპის პრიზიორი ანტოანეტა ბონევა, ხოლო 582 ქულით - ჩრდილოკორეელი იონ სუკ იო, შვეიცარიელი ევროპის სამგზის ჩემპიონი ჰაიდი გერბერ დიჩელმი და რუსი ეკატერინა კორშუნოვა.

ნინო სალუქვაძემ ნახევარფინალი ცუდად დაიწყო: პირველ სერიაში ხუთი გასროლიდან მხოლოდ ორჯერ უწია მიზანს, ორჯერ 4-4 ქულა მოაგროვა, ბოლო ორ სერიაში მხოლოდ ოთხ ქულას დასჯერდა და საბოლოოდ მე-6 ადგილზე გავიდა — მესამე ადგილისთვის საბრძოლველად სამი ქულა არ ეყო. ჩემპიონობა 20 წლის ბერძენმა კორაკაკიმ მოიპოვა — ფინალში გერმანელი კარჩი დაამარცხა, ხოლო მესამე ადგილი 37 წლის შვეიცარიელ დიჩელმის ხვდა.

### მშვილდოსნობა

ქართველ მშვილდოსანთაგან ცეცხლის ხაზზე პირველი გავიდა ხათუნა ნარიმანიძე, რომელიც ოცდამეთორმეტედფინალში უკრაინელ ლიდია სიჩენიკოვასთან 1:7 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. ჩვენმა ჩუბინმა პირველი სეტი ფრედ - 25:25 დაასრულა, მერე კი ზედიზედ სამი ხელი დათმო, შესაბამისად, 24:25, 24:27 და 27:28.

### ძიუდო

ოლიმპიადის მეოთხე დღეს სპორტის ქართველი ქომაგები რიოდან ოქროს მედალს ელოდნენ — არც იყო გასაკვირი: ტატამზე 81 კილოში წონის ლიდერი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი უნდა გასულიყო და, რატომღაც, ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდოდა. ალბათ, მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ ეს ოლიმპიური თამაშებია და აქ მოგება-წაგება ხშირად ლოგიკას არ ექვემდებარება. თავად განსაჯეთ: რიომდე ჭრიკიშვილმა ამერიკელ ტრევის სტივენსს ექვსიდან ხუთი ორთაბრძოლა მოუგო. ერთხელ ოკეანისგაღმელმა იმარჯვა — 2012 წლის ლონდონის თამაშებზე. ახლაც ოლიმპიადაზე აჯობა, თანაც მტკივნეული ილეთით, არადა, ჩვენებურს იმ ეპიზოდში მეტი ფხა რომ გამოეჩინა, დასამწუხრებელიც არაფერი ექნებოდა. მოულოდნელი მარცხის შემდეგ დამამშვიდებლის ფინალში ჭრიკიშვილი იაპონელ ტაკანორი ნაგასესთან საბრძოლველად ველარ განეწყო და პაექრობა იუკოთი დათმო. არადა, თავიდან ზედიზედ სამი მეტოქე — კუბელი ივან ფელიპე სილვა მორალესი, სალვადორელი ხუან დიეგო ტურციო და იტალიელი მარკო მარკონჩინი ჩამოიშორა გზიდან. საბოლოოდ ოქროს ჯილდოს მთავარი კანდიდატი თავის მეორე ოლიმპიადაზეც უმედლოდ დარჩა — მე-5 ადგილს დასჯერდა. ჩემპიონობა ჰასან ხალმურზაევმა (რუსეთი) მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში სტივენსს ვაზარით აჯობა (ეს ფინალი ვლადიმერ ნუცუბიძემ იმსაჯა).

**ლექსო ცინცაძე**



### კალათბურთი

## ზაზა ფაჩულია: „ამ ზაფხულს დიდი მიზნები მაქვს როგორც პირადად, ისე ნაკრებთან ერთად“

**ზაზა ფაჩულია ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა. „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ცენტრი, რომელიც ჩვენი ეროვნული გუნდის ლიდერი და უცვლელი კაპიტანია, შეთანხმებისამებრ, მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებულ ნაკრებს შეუერთდა და ილიას ზუროსის ხელმძღვანელობით პირველი ვარჯიში გამართა.**

ზაზა ფაჩულიას კომენტარებს წერილის ბოლოს შემოგთავაზებთ, მანამდე კი გეტყვით, რომ ეროვნულ ნაკრებს გუშინ საკმაოდ დატვირთული გრაფიკი ჰქონდა. მოსკოვიდან გამთენიისას ჩამოსვლის შემდეგ ნაკრების წევრებმა საღამომდე დაისვენეს და 18 საათიდან ვარჯიშს შეუდგნენ.

მოთამაშეები ფიტნეს-კლუბ „სნეპ-ჯორჯიას“ ვაკის ფილიალში შეიკრიბნენ და ტრენაჟორებზე ივარჯიშეს, სადაც ყველანაირი პირობა ჰქონდათ ფიტნესის კუთხითაც ევარჯიშათ.




სწორედ ფიტნეს-დარბაზში შეუერთდა ეროვნულ ნაკრებს ზაზა ფაჩულია, რომელმაც გუნდთან ერთად დაახლოებით ერთ საათს ივარჯიშა და შემდეგ ნაკრების ავტობუსით სპორტის სასახლეს მიაშურა.

ილიას ზუროსმა სპორტის სასახლეში ბიჭები დაახლოებით 2 საათის განმავლობაში, ძირითადად სათამაშო კომპონენტებზე ავარჯიშა. ორმხივი კალათბურთი და კომბინაციების გათამაშება — ეს იყო საღამოს ვარჯიშის ძირითადი ლაიტმოტივი.

ახლა კი გთავაზობთ ნაკრების კაპიტნის ზაზა ფაჩულიას კომენტარს...

— საკმაოდ გრძელი ზაფხული იყო, რომლის განმავლობაშიც ვემზადებოდი ინდივიდუალურად და ვემზადებოდი სწორედ ამ მომენტისთვის, რომ შევერთებოდი ეროვნულ ნაკრებს. კარგია, რომ ნაკრებს შევუერთდი, ინდივიდუალური კალათბურთიდან რომ გუნდურზე გადავინაცვლე. ამ ზაფხულში დიდი მიზნები გვაქვს როგორც მე პირადად, ისე კოლექტიურად, ეროვნულ ნაკრებს. ძალიან მნიშვნელოვანი ზაფხულია. არ იქნება ადვილი, თუმცა, ასე შრომით და თავდადებით უნდა მივაღწიოთ იმ მიზანს, რასაც ჰქვია ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეოთხედ გასვლა.

— თითოეული დღე უნდა გამოიყენო იმისთვის, რომ წინ წაიწიო. ეს იქნება როგორც ერთჯერადი, ისე ორჯერადი ვარჯიშები თუ დასვენება. ყველაფერი იმაზე უნდა იყოს აწყობილი და იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ გუნდი ოპტიმალურად მომზადებული შეხვდეს გადამწყვეტ მატჩებს. რაც მთავარია, ტრავმები არაა და იმის იმედიც მაქვს, რომ მანუჩარ მარკოიშვილიც შემოგვიერთდება. არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ერთი მოთამაშეც კი დავკარგოთ. იმედი მაქვს, უტრავმოდ ჩაივლის მოსამზადებელი პერიოდი და მაქსიმალურად ყველა გვეყოლება, რადგან ეს კოლექტიური, გუნდური თამაშია და ასეთი დატვირთვით როცა ვარჯიშობ და თამაშობ, ყველა მოთამაშე საჭიროა.

მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული 3 მატჩის შემდეგ სახლში ვითამაშებთ. სამშობლოში როცა თამაშობ, თუნდაც ამხანაგური მატჩი იყოს, მაინც განსაკუთრებული გრძნობაა. ახლა მომზადების შუა პერიოდში ვართ. კარგი შანსია, რომ გუნდმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას წინ, მითუმეტეს, რომ ახლა უკვე მეც შემოვუერთდი ნაკრებს. ჩემთვის პირადად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მალე შევიდე გუნდურ სიტუაციაში. ბევრი ახალი რამ დამხვდა როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. ახალი მწვრთნელი გვყავს და არაერთი მისი ასისტენტი, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ერთნაირად ფიქრობდეს, ყველა შევთამაშდეთ და შევეწყოთ ამ ახალ სისტემას. მიზანი 31 აგვისტოა. მთავარია, გუნდი ამ დღისთვის იყოს მზად და ყველა თამაში, რომელიც მანამდე გაიმართება, ოფიციალური მატჩებისთვის მოსამზადებლად მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**შეგახსენებთ, რომ ხვალ სპორტის სასახლეში თბილისის მერიის თასის სამდღიანი გათამაშება იწყება საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და ჰოლანდიის ნაკრებთა მონაწილეობით.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

### ნიჩბოსნობა

## „თეთრ ტბაზე“ - კანოე-კაიაკით

**თბილისის, მცხეთის, დუშეთის, ფოთისა და აზერბაიჯანის 80-მდე ნიჩბოსანი მონაწილეობდა კანოე-კაიაკით საქართველოს ღია პირველობაში, რომელსაც „თეთრმა ტბამ“ უმასპინძლა. პაექრობები გოგონებში ორ, ვაჟებში კი სამ ასაკში გაიმართა.** გოგონათა კანოეში მხოლოდ ერთი სპორტსმენი იყო — დუშელი ნატო ჩხუტიაშვილი. დანარჩენ სახეობებში დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ:

### გოგონები

**კაიაკი. უმცროსი ასაკი. ერთადგილიანი. 200 მ.** ანა ნათაძე (დუშეთი, 1,19), **500 მ.** თამარ ჯაბუშანური (დუშეთი, 3,27),

**უფროსი ასაკი. 200 მ. ერთადგილიანი.** სალომე ჯიქურაული (დუშეთი, 58,0), **500 მ. ერთადგილიანი.** სალომე ჯიქურაული (დუშეთი, 2,23), **ორადგილიანი.** ანა ჯიქურაული, ნინო ჯიქურაული (დუშეთი, 2,14).

### ვაჟები

**კაიაკი. უმცროსი ასაკი. 200 მ. ერთადგილიანი.** ჯუბა ჩხუტიაშვილი (დუშეთი, 0,48), **ორადგილიანი.** ჯუბა ჩხუტიაშვილი, გიორგი ყარსიმაშვილი (დუშეთი, 0,48), **500 მ. ერთადგილიანი.** ტოფიკ ბაირამოვი (აზერბაიჯანი, 2,44), **ორადგილიანი.** ჯუბა ჩხუტიაშვილი, გიორგი ყარსიმაშვილი (დუშეთი, 2,08). **2000-2001 წ.წ. დაბადებულნი. ერთადგილიანი. 200 მ.** გიორგი გოგიჩაიშვილი (ფოთი, 0,45), **500 მ.** ემზარ ირემაშვილი (დუშეთი, 2,12).

**უფროსი ასაკი. 200 მ. ერთადგილიანი.** გიორგი ოგბაიძე (მცხეთა, 0,43). **ორადგილიანი.** გიორგი ოგბაიძე, ვალერი რთველიაშვილი (მცხეთა, 0,42). **500 მ. ერთადგილიანი.** ნიკ მინდოდაური (მცხეთა, 2,09), **ორადგილიანი.** გიორგი ოგბაიძე, ნიკ მინდოდაური (მცხეთა, 1,49).

**კანოე. უფროსი ასაკი. 200 მ. ერთადგილიანი.** გიორგი შაბურიშვილი (დუშეთი, 0,42). **ორადგილიანი.** გია გვრიტიშვილი, გიორგი ბედოშვილი (დუშეთი, 0.57), **500 მ. ერთადგილიანი.** გიორგი შაბურიშვილი (დუშეთი, 2,35), **ორადგილიანი.** გიორგი გაბედავა, გარუშა ხიზანიშვილი (ფოთი, 2,23).

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ანა (წინ) და ნინო ჯიქურაულები.**

ვაჟა დანელიას ფოტო.



### ფეხბურთი

## ზიდანმა კრუიფის, ანჩელოტისა და გვარდიოლას შედეგი გაიმეორა



**ზინედინ ზიდანის გაწვრთნილმა მადრიდის „რეალმა“ ევროპის სუპერთასის ფინალში „სევილია“ ექსპერიმენტული შემადგენლობით 3:2 დაამარცხა (დამატებით დროში). „სამეფო კლუბი“ 93-ე წუთზე გუნდის კაპიტანმა სერხიო რამოსმა იხსნა.**

ზინედინ ზიდანი მეოთხეა, ვინც ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი როგორც ფეხბურთელის, ასევე მწვრთნელის რანგში მოიგო. აქამდე მსგავსი შედეგი კარლო ანჩელოტის, პეპ გვარდიოლასა და იოჰან კრუიფს უჩვენებიათ.

**გიორგი შოთაძე**

**სნეულების ანატომია**

# შეუკავებლობის შეკავება

**შარდის შეუკავებლობა — უაღრესად დელიკატური პრობლემაა, რომელსაც ქალების დაახლოებით 40 და მამაკაცების 20 პროცენტი უჩივის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათ, ზოგჯერ, ამის შესახებ არც კი იციან.**

**საქმე ის არის, რომ შარდის შეუკავებლობის დროს დიდების პამპერსების ტარება ყოველთვის საჭირო არ არის, რადგან ის ყოველთვის იმდენად ძლიერია (ექიმები ამბობენ — ურგენტული), რომ შეიძლება კაცმა ტუალეტამდე ვერ მიაღწიოს. პრობლემა კი მაშინ იჩენს თავს, როცა სიცილის ანდა ცხვირის დაცემინების დროს შარდის რამდენიმე წვეთი გამოიყოფა. ბევრს ჰგონია, რომ ეს მაინცდამაინც არაფერს ნიშნავს, მაგრამ, დროთა განმავლობაში, შარდის დაკარგვის პროცესი თანდათანობით მძაფრდება.**

### ყველა ქალბატონს „უჭირს“?

40 წელს გადაცილებული თითქმის ყველა ქალი ასე თუ ისე შარდს კარგავს. ფიზიკური დატვირთვების დროს მისი „ოდნავ გაჟონვა“ რიგ ფაქტორთანაა დაკავშირებული. ნაწილს ეს მშობიარობისას მიღებული ტრავმის შედეგად მოსდის, რომელსაც ექიმები ყოველთვის ვერ ადგენენ, ზოგიერთს ეს უსიამოვნება შემაერთებელი ქსოვილის ეგრეთ წოდებული თანდაყოლილი დისპლაზიის გამო ემართება.

**შემთხვევათა უმრავლესობაში კი შარდის შეუკავებლობა ასაკის მატებასთან ერთად ვითარდება:** ქალებში ეს მენოპაუზის დროს ხდება, როცა ჰორმონალურ დარღვევათა მიმდინარეობისას ქვედა საშარდე გზების ჩამკეტი მექანიზმის დისფუნქცია ვითარდება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ქალებს სფინქტერი ანატომიურად არა აქვთ — შარდის შეკავების ფუნქციას თეძოების მთელი რიგი კუნთოვანი და ფასციალური სტრუქტურა ასრულებს. თუ კი ეს სტრუქტურები დასუსტდა, შეუკავებლობა თანდათანობით ძლიერდება და მძიმე, სოციალურად მეტად უსიამო დაავადების სახეს იღებს.



50 წელს გადაცილებულ **მამაკაცებს კი, როგორც წესი, შარდის შეუკავებლობა წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის (ადენომის) განვითარების გამო ეწყებათ, რომელიც შარდის ბუშტს აწვება.**

### „ვაი, სირცხვილო!“

შარდის შეუკავებლობით ცხოვრება ადვილი არ არის. თავად განსაჯეთ: ადამიანი საპირფარეშოზეა დამოკიდებული და თუკი ის სიახლოვეში არ არის, იგი ნერვიულობას იწყებს, ვაი თუ გარშემო მყოფებმა შეამჩნიონ და სირცხვილი ჭამოს. ის ხალხი, რომლებსაც შარდის შეუკავებლობა სჭირთ, თავს გარიყულებად გრძნობენ და, იმის მიუხედავად, რომ ეს მდგომარეობა სიცოცხლისთვის საშიში არ არის, ხშირად ექიმებს უტყდებიან, რომ ამ „სირცხვილს“ გულის დაავადებები „ურჩევნიათ“.

სინამდვილეში კი ეს მათი ბრალი არის და, რაც მთავარია, **დღესდღეობით მათი შველა სავსებით შესაძლებელია.**

### ისევ უოპერაციოდ სჯობს

გარკვეულ ვითარებაში საქმეს კონსერვატიული მკურნალობა შველის იმ პრეპარატებით, რომლებიც აფთიაქებში თავისუფლად იყიდება. ისინი პაციენტს უროლოგმა უნდა დაუნიშნოს, ოღონდ ეგაა, რომ მათ მოხმარებას სასურველი შედეგი, სამწუხაროდ, ყოველთვის არ მოყვება.

**ამჟამად უროლოგებს ხელთ აქვს სინთეტიკური მარყუჟები, რომლებსაც შარდმდენი არხის შუა ნაწილში ნერგავენ, რაც მეტად საიმედო შედეგს უზრუნველყოფს.** ესაა უსისხლო, არატრავმატული პლასტიკური ოპერაცია, რომლის შემდეგ მეორე-მესამე დღეს პაციენტი სრულფასოვან ცხოვრებას იწყებს. მარყუჟები არის ქალისა და მამაკაცისა. 95-97 პროცენტ შემთხვევაში მკურნალობის ამ მეთოდს ჩინებული შედეგი მოაქვს, რომელიც 5-7 წლის მანძილზე ნარჩუნდება, თუმცა კი მერე მისი ეფექტურობა, სამწუხაროდ, მცირდება, რის გამო ან იგივე ოპერაციის გამეორება, ანდა სხვა ოპერატიული მეთოდიკის გამოყენება ხდება საჭირო.

ცნობილი უროლოგის, პროფესორ ო. ლორანის თქმით, შარდის შეუკავებლობის კორეგირების ოთხასზე მეტი სახეობის ოპერაცია კეთდება, **ეს კი იმას ნიშნავს, რომ იდეალური შედეგის მიღწევის გზა ჯერჯერობით მიგნებული მაინც არ არის,** რაც თავისთავად პრობლემას წარმოადგენს. ყველაზე საიმედო მაინც მარყუჟის ტექნოლოგიებია, მაგრამ არც ისინია მუდმივმოქმედი.

ამიტომაცაა, რომ **მას, ვისაც ამ ოპერაციისთვის თავის არიდება სურს, უმჯობესია საქმე ამ მდგომარეობამდე არ მიიყვანოს.**

### ვარჯიში ბურთით

საამისოდ კარგი იქნება, თუკი სპეციალურ ვარჯიშებს შეასრულებთ, რომლებიც განსაკუთრებით მშობიარობის შემდგომაა რეკომენდებული, რომლებსაც უროლოგები პაციენტებს შარდის შეუკავებლობის საწყის სტადიაზე ურჩევენ. **ყველა ვარჯიში აწეული თეძოებით, ფიცარზე კუთხით დაწოლილი სრულდება,** რაც მის კუნთებს ამაგრებს. იმის მრავალი მაგალითია, როცა ყოველგვარი ოპერაციის გარეშე ქალები ამ უსიამო სნეულებისგან სრულად იკურნებოდნენ. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში კი ქალბატონი, საშინაო საქმეების კეთების დროსაც კი ფეხებშუა ჩოგბურთის ბურთს იდებდა, რომელიც თეძოების კუნთებით ეჭირა.

ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არის სპორტის სახეობები, რომელთა მიყოლა ქალებისთვის სასურველი არ არის. ესენია, კერძოდ, **მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ძალოსნურ ტრენაჟორებზე ვარჯიში, პარაშუტით ხტომა, რომლებიც მკვეთრად ამაღლებენ მუცლისშიდა წნევას. ასევე რეკომენდებული არ არის სიმძიმეთა აწევა — ქალბატონებმა 5 კილოგრამზე მეტი სიმძიმე არ უნდა აწიონ.**

ცხადია, რაც უფრო დიდი ხნისაა დაავადება, მით უფრო რთულია მისი მკურნალობა. ამიტომაც, უროლოგთა აზრით, შარდის შეუკავებლობასთან ბრძოლის ერთ-ერთი საკვანძო მომენტია ადრეული დიაგნოსტიკა.

— ეს ყველა შემთხვევაში პათოლოგიაა, რომლის გამკლავების დაწყება დროულადაა საჭირო, — აცხადებს დოქტორი ლორანი — თუკი შარდს კარგავთ, მასში ცვლილებებს, განსაკუთრებით სისხლის გაჩენას ამჩნევთ, დაუყოვნებლივ სპეციალისტს უნდა მიმართოთ!

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**

## გარდაიცვალა შეიარაღებული ძალების კაპრალი თამაზ ლომიძე



საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის V ქვეითი ბრიგადის 51-ე ქვეითი ბატალიონის კაპრალი დავით თამაზის ძე ლომიძე გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

**„9 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში დავით ლომიძე შეუძლოდ გახდა. კაპრალი V ქვეით ბრიგადასთან ყველაზე ახლოს მდებარე გორის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაყვანისას გარდაიცვალა.**

**მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის 1 ნაწილით. საქმეს იძიებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის საგამოძიებო განყოფილება.**

**თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს კაპრალი დავით ლომიძის გარდაცვალების გამო და დაღუპულის ოჯახს სამძიმარს უცხადებს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ხარჯს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს. კაპრალი დავით თამაზის ძე ლომიძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2008 წლის 16 აპრილიდან მსახურობდა.

## მდინარე გუბისწყალში ორი ახალგაზრდა დაიხრჩო

**უბედური შემთხვევა მოხდა სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში — მდინარე გუბისწყალში 2 ახალგაზრდა დაიხრჩო. მეზობლების თქმით, ძმები — 19 და 20 წლის ვანიკო და თემურ ვაშაკიძეები მდინარეში ბანაობდნენ.**

ერთ-ერთი მათგანი იხრჩობოდა და მეორემ დახმარება სცადა, თუმცა ვერ შეძლო. ახალგაზრდების ცხედრები მაშველებმა ამოიყვანეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

## ხანძარს ავტოფარეხები შეეწირა

**ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალში გუშინ გვიან ღამით ორი ავტოფარეხი დაიწვა. როგორც მედიანიუსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, დამწვარია დაახლოებით 100-120 კვ. მეტრი ფართობი. ერთ-ერთ ავტოსადგომში სატრანსპორტო საშუალება იდგა, რომლის ევაკუირებაც მაშველებმა დროულად შეძლეს. ხანძრის შედეგად, სრულად განადგურდა ერთ-ერთ ავტოფარეხში მოწყობილი სამკერვალო.**

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## პეკინის ქუჩაზე ტაქსის მძღოლი დაჭრეს

**მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით მხარშია დაჭრილი და ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა მგზავრებთან შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა, მგზავრები მგზავრობის საფასურს არ იხდიდნენ, რასაც მძღოლსა და მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირება, შემდეგ კი მათი დაჭრა მოჰყვა. არსებული ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ორი პირი უკვე დააკავეს.**

## ამოღებულია დიდი ოდენობით „სუბოქსინი“

**შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ჩ., დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.**

სამართალდამცველებმა, თ.ჩ-ს პირადი ჩხრეკისას, 10 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, ბუპრენორფინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებული ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკისა და ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

## კახეთში ქვევრში დამარხული ქალის ცხედარი იპოვეს

**ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში საკუთარი სახლის მარანში, ქვევრში დამარხული ქალის ცხედარი იპოვეს.გავრცელებული ინფორმაციით, მარტოხელა ქალბატონს რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ. მის ცხედარს მიწა ჰქონდა მიყრილი. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიება 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.**

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**
პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**განცხადება**

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

ყველაფერი იყიდება!..

# ქვეყნები, რომელთა მოქალაქეობასაც კანონიერად იყიდით

**ბოლო წლებში სულ უფრო მეტი სახელმწიფო სთავაზობს უცხოელებს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობას თუ ბინადრობის უფლებას.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ცნობით, ეს ტენდენცია სწრაფად ვითარდება და არსებული გეოპოლიტიკური კლიმატის ფონზე, ადამიანები სულ უფრო ხშირად ეძებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავშესაფარს.

ეკონომიკური პროგრამების საშუალებით, უცხოელებს საშუალება ეძლევათ, მიიღონ ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობა დიდი ინვესტიციების ჩადების სანაცვლოდ.

მოქალაქეობის მიღების პროგრამა ინვესტიციების ჩადების სანაცვლოდ ყველაზე ხშირად გამოიყენება ევროპულ სახელმწიფოებსა და კარიბის აუზის ქვეყნებში.

ყველაზე „იაფად“ მოქალაქეობის მიღება შეგიძლიათ დომინიკანელთა რესპუბლიკაში, სადაც 100 000 აშშ დოლარის ინვესტიცია და პირადი გასაუბრება იქნება საკმარისი.

უცხოელებისთვის მოქალაქეობის შეთავაზება ეხმარება სახელმწიფოს, მოიზიდოს მნიშვნელოვანი ინვესტირება. მაგალითად, კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულოვან სახელმწიფო სენტ-კიტსი და ნევისში აღნიშნული პროგრამისგან შემავალმა თანხამ 2013 წელს ქვეყნის მშპ-ს თითქმის 25% შეადგინა, პორტუგალიაში კი, ამ პროგრამიდან შემავალმა თანხამ 2014 წელს ქვეყნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილში 13% შეადგინა.

კვიპროსის მოქალაქეობის მისაღებად უცხო ქვეყნის მოქალაქემ მინიმუმ 2,5 მილიონ ევროს ინვესტიცია უნდა განახორციელოს, ავსტრალიაში - 5 მილიონი ავსტრალიური დოლარის ოდენობის, ბულგარეთში 500 000 ევროს, კანადაში კი 800 000 კანადური დოლარის ინვესტიცია.

რაც შეეხება ბინადრობის უფლებას, შესაბამისი დოკუმენტის მისაღებად საფრანგეთში უცხოელმა 10 მილიონი ევროს, საბერძნეთსა და უნგრეთში 250 000 ევროს, ლატვიაში 35 ათასი ევროს, პორტუგალიაში ნახევარი მილიონი ევროს, სინგაპურში 2,5 მილიონი აშშ დოლარის, შვეიცარიაში 250 000 შვეიცარიული ფრანკის, დიდ ბრიტანეთში 1 მილიონი გირვანქა სტერლინგის, აშშ-ში კი ნახევარი მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება უნდა მოახდინოს.

patrioti-tv.ge




## შაყირიც ასეთი უნდა!



„ჩემო ამომრჩეველო, გადმორიცხეთ „პაჩკა სიგარეტის“ თანხა“.

სალომე ზურაბიშვილი მთაწმინდის ამომრჩეველს მიმართავს:

„მიმართვა პირველი!

მთაწმინდის ამომრჩეველს მივმართავ!

ჩემი საარჩევნო ფონდი გაიხსნა!

მთაწმინდაზე 43.372 ამომრჩეველია!

პირველ ტურში გასვლისთვის საჭიროა 21.687 ხმა!

ჩემო ამომრჩეველო, მხარდაჭერის ნიშნად ყველას მოგმართავთ თხოვნით, გადმორიცხოთ „პაჩკა სიგარეტის“ თანხა (ანუ 3 ლარი) დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო ფონდში:

„საქართველოს ბანკი — GE24OG0000000730946400 წერს სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

კაკალ გულში

## [illegible]



● ერთ ჩვენს ხმამჭექარე ტელეწამყვან ქალს რომ ვუყურებ, ბორდელიდან ბოზობისთვის გამოგდებულ კახპას მაგონებს.

● ეს სრული იდიოტია:

1. NATO-სკენ სწრაფვაზე რომ ჩატარდა რეფერენდუმი, მაშინ არ აძლევდა ეს ოკუპანტს დამატებით ბერკეტებს? (ახლა არ თქვას, არ მიმიღია მონაწილეობაო.)

2. ჩემს მეუღლეს რომ თინათინი ჰქვია და არა ჯუმბერი, ოკუპაციის მომხრე ვარ?

მოშორდეს ეს მარაზმატიკი აქედან!!!

● კომენტატორებმა მუნჯურად რომ წაიყვანონ ასპარეზობა, არ შეიძლება? (თან რომ არ გამოჩნდნენ).

● მარგველაშვილის გუშინდელი ბრიფინგის მერე, ილია და აკაკი ერთმანეთს ზურგებით მიეყუდნენო

სააკაშვილის მიმართვები წავიკითხე.

ეჰ...

ბოკერია, დაანებე თავი, თავისი გაჭირვება ეყოფა!

ცოდოა ეგ შობელძაღლი, ცოდო! ხალხი არა ხართ, უშველეთ ვინმემ!!!

მოვითხოვ შეწყდეს სააკაშვილზე ზეწოლა!!!

● ვისაც ნოკია გაქვთ, დღეს ღამის 12 საათზე ვიკრიბებით ავლაბარში, პრეზიდენტის სასახლესთან!

● რა ჯანდაბად გინდა „ოცნება“ ეს ნანაცარი ხალხი? თუ დაგცხეს შიგნიდან ხმა არ გავიგო!

● ირაკლი სესიაშვილმა რქუა:

ნაციონალები რომელნიც ჩვენს სიაში არიანო, ნაციონალებისგან გათავისუფლებული ნაციონალები არიანო.

ვერ გევიგე, ოპელი?!

ანუ, თავისი თავისგან გათავისუფლდნენ?

თავისი თავი უარყვეს, დაგმეს?

ჰოი, საოცრებავ!!!

ბატონო ირაკლი, ნუთუ თქვენ ბრძანდებით ის კუმისელი მოაზროვნე?

● ეს არჩევნებიც მოვილიოთ და ისეთი იმპიჩმენტი უნდა მოვუწყოთ მარგველაშვილს, რომ დუშეთის საქათმიდან ვერ გამოდიოდეს.

მერე გაიგებს, რას ჯდება 200 000-ზე მეტი ადამიანის მოთხოვნის ფეხებზე დაკიდება!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

## შეუდრეკელი კეროლი

**ალბათ, მოვიტყუებით რომ გითხრათ, მოდელი კეროლ მუნისი ბრაზილიაში ყველაზე ცნობილი და გამორჩეული ასულიაო, რადგან ამ ქვეყანაში კეროლზე, ჰაი-ჰაი რომ, ბევრად ცნობილი, კოხტა და ისეთი ილაჯის მქონე მოდელები მიდი-მოდიან, მათი დამნახავი კაცი იტყვის, ნეტა ერთის ნაცვლად ბევრი ჯიგარი მქონდესო.**

მაგრამ ეპატაჟურობასა და სითამამეში კეროლ მუნისი ნამდვილად ბევრ ცნობილ მოდელს ამოიდებს იღლიაში და ამის დასტურად მისი ახალთ-ახალი განცხადებაც შეგვიძლია მოვიყვანოთ. ეს განცხადება კეროლმა თანამემამულე ჟურნალისტებთან გაგანია ზაფხულის ოლიმპიადის დროს გააკეთა.

კეროლ მუნისი გულნაკლულია იმის გამო, რომ ოლიმპიადის ბოსებმა ღონისძიების სახედ მას სხვა მოდელები ამჯობინეს, მაგრამ ეს ამ ქალს მაინც ვერ დააკავებს და როგორც თავად იძახის, სწორედ იგია ბრაზილიელი ქომაგებისა და სპორტსმენების ჭეშმარიტი მუზა. **„მე ტრიბუნების დედოფალი ვარ“,** — ამბობს კეროლი და ისე ნაზად აფახულებს თვალებს, თითქოს აქამდე ჯეელი მამრი სიზმარშიც არ ენახოს.



ანეკდოტები

— **მოშეს** დავენაცვლე, მითხარი, შენს გახარებას, რას ნიშნავს რომ ამბობენ — კაცს ბედი აქვსო?

— აი, მაგალითად, ქუჩაში მიდიხარ და უცბად თავზე აგური გეცემა. ბედიც ამას ჰქვია.

— მაგრამ ეგ აგური თუ ჩემს გვერდზე დაეცემა?

— მაშინ ბედი არ გქონია!..



* * *

**სამახსოვრო** სათამაშოების მოყვარულთათვის:

„თუ ტირში შესული შინ ყველა სათამაშოს წაღებას დააპირებთ, თოფი სათამაშოებს კი არა, ტირის მეპატრონეს უნდა ესროლოთ“.

* * *

— **ცოლი** მკაცრი ვეგეტარიანელი კი მყავს, მაგრამ ზოგჯერ, დიდი სიყვარულის გამო, თავის პრინციპებს ღალატობს. მთელი დღეები ჩემი სისხლით იპოხება და ტვინს მიჭამს!..

* * *

— **რა** ვქნა, ჩემო მაშო, ეს ვის გავყევი ცოლად! ჩემ ქმარს იქამდე შეუძლია ძილი, სანამ არ მოშივდება, მერე კიდო იმდენ ხანს ჭამს, სანამ ძილი მეერევა!..

* * *

— **მისმინე,** ძმაო, შენთან დამნაშავე ვარ, გაწყენინე, ამიტომაც ბოდიშს ვიხდი და ათ ბოთლ ღვინოს ვკისრულობ!

— ათი ბოთლი ღვინო კი არა, ორი ყუთი შამპანური უნდა მაგ საქმეს!

— ვა, ტო, შენ რა ბუტია ყოფილხარ!..

* * *

**როცა** წერომ მშობლებს შაქრო მოუყვანა, მათ ჯერ დიდხანს გულიანად იცინეს, მერე კი შვილად წეროს აყვანა უნდოდათ...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.342; ევრო - 2.596;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.039;
100 რუბლი - 3.623; თურქული ლირა - 0.786;
აზერბაიჯანული მანათი - 1.471;
1000 სომხური დრამი - 4.92

ამინდი 3 აგვისტოსთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +14, | დღე +33 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +21, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +16, | დღე +32 |
| თბილისი: | ღამე +21, | დღე +37 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE